9 ივნისი, ოთხშაბათი, 2010 წ. №6 (2102)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ქართველი ზევსი

მართალია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დაარსების ბრძანებას 1997 წლის მარტში მოეწერა ხელი, მაგრამ ინსტიტუტის შექმნის იდეის ავტორისა და დირექტორის, ბატონ რისმაგ გორდეზიანის მადლიერმა თანამშრომლებმა და მოწაფეებმა ამ თარიღის აღნიშვნის ტრადიციად 9 ივნისი დაამკვიდრეს.

ათეულ წელზე მეტია ამ დღეს ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში თავს იყრის ყველა თანამშრომელი და ის საზოგადოება, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ინსტიტუტის წინსვლისა და აღორძინების საქმეში.

ტრადიციად იქცა, რომ ამ დღეს ინსტიტუტის დირექტორატი ანგარიშით წარსდგეს საკუთარი თანამშრომლებისა და სტუდენტების წინაშე, რათა შეაჯამოს განვლილი წლის მუშაობის შედეგები და დასახოს ახალი ამოცანები, დამსწრე საზოგადოებას ამცნოს პედაგოგ-მეცნიერთა წარმატებების თაობაზე და ჯილდოებით წაახალისოს თავისი აკადემიზმითა და პასუხისმგებლობის გრძნობით გამორჩეული სტუდენტები.

წელს ინსტიტუტი ამ თარიღის აღსანიშნავად საგანგებოდ მოემზადა: მის დირექტორს, ბატონ რისმაგ გორდეზიანს სწორედ ამ დღეს 70 წელი უსრულდება. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მისი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა საქართველოს პირველ უნივერსიტეტს. აქ განვლო მან გზა სტუდენტობიდან პროფესორობამდე, კლასიკური ფილოლოგიის კათედრის სწავლული მდივნობიდან ჯერ ამავე კათედრის გამგეობამდე, ხოლო შემდეგ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორობამდე. იგი ღირსეული გამგრძელებელია იმ ტრადიციისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ღვაწლმოსილმა მეცნიერებმა: გრიგოლ წერეთელმა, სიმონ ყაუხჩიშვილმა, პანტელეიმონ ბერაძემ... ის აღიარება და ავტორიტეტი, რაც ინსტიტუტმა მოიპოვა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, უპირატესად ბატონი რისმაგისა და მის მიერ აღზრდილი მოწაფეების წარმატებული სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგია. სტუდენტები და მისი ყოფილი მოსწავლეები რისმაგ გორდეზიანს „ქართველ ზევსს“ ეძახიან.

გულწრფელად ვუსურვებთ ბატონ რისმაგს დაბადებიდან 70 და უნივერსიტეტში მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

თსუ-ის სტუდენტი — „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი — საქართველო“-ს პრეზიდენტი

ნატო ოგოლაძე

„ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი – საქართველო“-ს პრეზიდენტი თსუ-ის სტუდენტი თეონა ლავრელაშვილი გახდა. არჩევნები 6 ივნისს თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში გაიმართა, მასში მონაწილეობა ახალგაზრდული პარლამენტის დელეგატებმა მიიღეს. თეონა ლავრელაშვილი კოლეგებმა ხმათა უმრავლესობით აირჩიეს, თუმცა აღსანიშნავია, რომ მას არჩევნებში კონკურენტი არ ჰყოლია. „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი – საქართველო“-ს ახალი პრეზიდენტი არაერთი პროექტის განხორციელებას გეგმავს. ახალგაზრდული პარლამენტი საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან ითანამშრომლებს. საქართველოს პარლამენტთან იგეგმება ერთობლივი პროექტის შემუშავება, რომელიც ახალგაზრდული პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციების საკანონმდებლო ორგანოში გადაგზავნასა და განხილვას ითვალისწინებს.

„ვფიქრობ, რომ „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი – საქართველო“ ახალგაზრდებისთვის არის საუკეთესო შესაძლებლობა, რომ ჩაერთონ იმ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს; მიეჩვევნონ საკუთარი აზრის დაფიქსირებასა და დებატების კულტურას. ჩვენ გვინდა, რომ ყველას დავანახოთ, თუ რამხელა პოტენციალი გააჩნია ახალგაზრდულ პარლამენტს. დარწმუნებული ვარ, ქვეყნის წარმატებული მომავლის მშენებლობაში მნიშვნელოვან წვლილს შევიტანთ.

ახალგაზრდულ პარლამენტში გამართულ ბოლო სესიას მე ვხელმძღვანელობდი. სხდომას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დავით ბაქრაძე კმაყოფილი დარჩა ახალგაზრდების მუშაობით და აქტიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. ასევე, ვგეგმავთ, რომ გავზარდოთ სესიების აკადემიური ხარისხი. კომიტეტების მუშაობის პროცესში ჩავრთოთ ექსპერტები, თსუ-ის პროფესორები. ძალიან გვეხმარება ექსპერტი ნატოს საკითხებში ნიკა ჩიტაძე, თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა, ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ექსპერტმა ალექსანდრე რონდელმაც. ვგეგმავთ მემორანდუმები გავაფორმოთ თბილისის საჯარო სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და თბილისის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურთანაც“, — გვითხრა თეონა ლავრელაშვილმა.

ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი საფრანგეთში 1987 წელს ჩამოყალიბდა და მასში ევროპის 33 ქვეყანაა გაწევრიანებული. საქართველო მისი წევრი 2008 წელს გახდა. ევროპის ახალგაზრდულ პარლამენტში განიხილება და რეზოლუციები იდება ყველა იმ საკითხის შესახებ, რომელიც აქტუალურია ევროპის პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. ისევე, როგორც ევროპის სხვა განვითარებული ქვეყნებს, საქართველოს უფლება აქვს, საერთაშორისო სესიებზე 9 დელეგატი გააგზავნოს.

„ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი — საქართველო“ ამ დროისთვის 700-მდე წევრს ითვლის. იმისათვის, რომ მისი მუშაობა მხოლოდ თბილისით არ შემოიზღვროს, სესიების გამართვა რეგიონებშიც იგეგმება. თეონა ლავრელაშვილი ახალგაზრდულ პარლამენტს ერთი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს, შემდეგ კი „ევროპის ახალგაზრდულ პარლამენტი — საქართველო“ ახალ პრეზიდენტს აირჩევს.

იუბილე

მე-5–7 გვ.
ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი კონსერვატორიასთან

მე-2 გვერდზე
სტუდენტები ჟურნალისტურ პრაქტიკას ითხოვენ

მე-3 გვერდზე
კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამომავლო გზა

მე-3 გვერდზე
თარგმანით „გაშიფრული“ გალაკტიონი

მე-8 გვერდზე
ნორჩ გეოგრაფთა ვიქტორინაში გამარჯვებული

მე-9 გვერდზე.
სტუდენტთა საკვირაო ლიტერატურული კლუბი გეპატიჟებათ

მე-9 გვერდზე.
ჟურნალ „სპეკალის“ პრეზენტაცია

მე-11 გვერდზე

სტუდენტთან პირისპირ

მარიამ ჯორბენაძე, იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი:

? — რატომ განახევრდა პრეზიდენტის სტიპენდიატთა რაოდენობა მაშინ, როდესაც საგრძნობლად იზრდება ფაკულტეტზე ჩარიცხული სტუდენტების რიცხვი?

მანონი ჯოჯუა, თსუ-ის საფინანსო დეპარტამენტის საგეგმო განყოფილების მთავარი სპეციალისტი:

— პრეზიდენტის სტიპენდიატთა კონტინგენტს განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და არა უნივერსიტეტი. ეს სტიპენდია წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სტიპენდიებისა და გრანტების მინიჭების პროგრამის“ „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს" ქვეპროგრამას და მისი დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტია. 2009 წლის 26 ნოემბრის 1048 ბრძანებით თსუ-ს გამოეყო თანხა სტუდენტთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 2%-ის (280 სტუდენტი) დასაფინანსებლად. სტიპენდიატთა რაოდენობა განსაზღვრული იყო მინისტრის ბრძანებით. როგორი იქნება მომდევნო სემესტრში დაფინანსების მოცულობა, ეს პროგრამის მონაწილე თითოეული უმაღლესი სასწავლებლისათვის განისაზღვრება 2010-2011 სასწავლო წლის დასაწყისში.

ლიკა მურღულია, იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი:

? — ჯგუფების არარსებობამ და ფაკულტეტის მიერ მზა ცხრილების ტრადიციის გაუქმებამ შექმნა პრობლემები: ხშირ შემთხვევაში სასურველი საგნების ერთმანეთზე დამთხვევა ან 3-4-საათიანი შუალედები ლექციებს შორის დაბრკოლებას და დისკომფორტს გვიქმნის სტუდენტებს.

რუსუდან ჩიქოვანი, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— სწავლების ასეთი სისტემა განათლების რეფორმის მონაპოვარია. სწორედ ჯგუფების გაუქმებამ მისცა სტუდენტებს საშუალება აირჩიონ მათთვის სასურველი საგნები და პროფესორები, ასევე, ძირითადი სპეციალობის პარალელურად დაეუფლონ დამატებით (მინორ) სპეციალობას. ფაკულტეტების შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფენ, რომ სავალდებულო საგნები ერთმანეთს არ დაემთხვეს, არჩევითი დისციპლინების აღებისას კი თავად სტუდენტმა უნდა მოახერხოს მისთვის კომფორტული რეჟიმის შესაბამისი ცხრილის ფორმირება.

↳ 3

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კონსერვატორიასთან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ერთობლივი კვლევის, განათლების, სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების შექმნას ითვალისწინებს. ხელშეკრულების მიხედვით განხორციელდება პროფესორების გაცვლაც, რაც ახალი და სპეციფიკურ დისციპლინებში პროგრამების ამუშავებას შეუწყობს ხელს.

უმაღლესი სასწავლებლის რექტორებმა მემორანდუმს ხელი 2 ივნისს მოაწერეს. შეხვედრას თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლებიც დაესწრნენ. მათ მუსიკის, მუსიკალური გემოვნების და მუსიკალური ცოდნის აუცილებლობაზე ისაუბრეს. განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები და შესაძლებლობები.

ნატო ოგოლაძე

„მოხარული ვარ, რომ თსუ-ის იმ სტუდენტებს, რომლებსაც გამორჩეული მიდრეკილება აქვთ მუსიკალური ხელოვნებისადმი, შესაძლებლობა ექნებათ კონსერვატორიაში მოისმინონ ცნობილი პროფესორების ლექციები. თავის მხრივ, უნივერსიტეტი კონსერვატორიის სტუდენტებს სთავაზობს ისეთი ლექციების ციკლს, რომელიც მათი ინტერესის სფეროში შედის. ჩვენ განვავითარებთ სტუდენტთა მობილობას და ამ ფორმით შევეცდებით, რომ სტუდენტებს მაქსიმალურად მრავალფეროვანი პროგრამები შევთავაზოთ. თსუ-ში ახალგაზრდებს ხელოვნების მიმართ გამორჩეული ინტერესი აქვთ, ამიტომ მათთვის არ არსებობს უკეთესი მისამართი, ვიდრე კონსერვატორია“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

2 ივნისს გამართულ შეხვედრაზე განიხილეს ისეთი პრობლემური საკითხიც, როგორიცაა დარგობრივი ჟურნალისტიკა. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მუსიკალური განათლების მქონე კადრების მომზადებაც დაგეგმეს. „კონსერვატორია სპეციფიკური უმაღლესი სასწავლებელია, თუმცა ჩვენთან ისეთი საგნებიც ისწავლება, როგორიც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ესენია: ჰუმანიტარული საგნები, ფილოსოფია, უცხო ენები... ვფიქრობ, ეს იქნება ორმხრივად აქტიური პროცესი და ორივე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს პარტნიორ უნივერსიტეტში მოისმინონ მათთვის საინტერესო ლექციები. იქნება ეს ფოლკლორი, ჟურნალისტურ-მუსიკალური განათლება თუ საშემსრულებლო ხელოვნება“, — აღნიშნა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა მანანა დოიჯაშვილმა.

მემორანდუმი 6 მუხლისაგან შედგება. ხელშეკრულების თანახმად, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შეეძლებათ პარტნიორ უნივერსიტეტებში მოისმინონ ლექციები, ჩაერთონ სხვადასხვა კვლევით სამუშაოებში და მიიღონ მონაწილეობა ერთობლივ პროექტებში. ურთიერთთანამშრომლობას გეგმავენ თსუ-სა და კონსერვატორიის სტუდენტური თვითმმართველობებიც. როგორც მანანა დოიჯაშვილმა განაცხადა, კონსერვატორიის სტუდენტური თვითმმართველობა მზად არის თსუ-სთან ერთად არაერთი საინტერესო პროექტი განახორციელოს. პრობლემური საკითხი, რომელიც მანანა დოიჯაშვილმა წამოაყენა, მუსიკალური საკრავების დეფიციტია. მან თსუ-ის ადმინისტრაციას გრანტის მოძიებაში დახმარება აღუთქვა, რა შემთხვევაშიც მუსიკალური ხელოვნებით დაინტერესებული თსუ-ის სტუდენტების ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა გახდება შესაძლებელი.

სამხრეთ კავკასიის რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია

საერთაშორისო სპეციალური კურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტმა 1-დან 5 ივნისამდე საერთაშორისო სპეციალურ კურსს - „რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია: სტაბილურობისა და პროგრესის პერსპექტივები სამხრეთ კავკასიის რეგიონში" უმასპინძლა. იგი გერმანიის აკადემიური ურთიერთგაცვლის სამსახურის (DAAD) დაფინანსებით შედგა. მისი ორგანიზატორები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად პოტსდამის უნივერსიტეტი და კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი იყვნენ.

კურსს ხელმძღვანელობდა გერმანელი პროფესორი ჰანს-გეორგ პეტერსენი – პოტსდამის უნივერსიტეტის ფინანსური მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერმანიის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტის მკვლევარ-პროფესორი, გერმანია-საფრანგეთის სამთავრობო ეკონომიკური საბჭოს წევრი, ლიხტენშტეინის მთავრობის მრჩეველი საფინანსო საკითხებში.

კურსის საერთო კოორდინაციას ახორციელებდნენ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი სიმონ გელაშვილი და პოტსდამის უნივერსიტეტის თანამშრომელი, მეცნიერებათა დოქტორი ელგუჯა ხოკრიშვილი.

სამუშაო ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობდნენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლები, მაგისტრანტები, დოქტორანტები, ასევე, საუნივერსიტეტო აკადემიური პერსონალი. სულ 21 მონაწილე, მათ შორის 7-საქართველოდან, 7-აზერბაიჯანიდან და 7-სომხეთიდან.

1 ივნისს კურსის საზეიმო გახსნის ცერემონიალი შედგა. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა თსუ-ის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ელენე ხარაბაძემ.

ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის ძირითად საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ გერმანელი პროფესორები ულრიჰ ბასელერი – ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტიდან და ვოლფ შეფერი – ჰამბურგისა და როსტოკის უნივერსიტეტებიდან. პროფესორმა პეტერსენმა კი ფისკალური ფედერალიზმის კურსი წაიკითხა.

სომეხმა პროფესორმა ჰარუტუნ ხაჩატრიანმა ისაუბრა „კავკასიის მედია ინსტიტუტიდან" პოლიტიკური ეკონომიისა და დემოკრატიის განვითარების თეორიულ ასპექტებზე, ხოლო ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ტოროს ტოროსიანმა დამსწრე საზოგადოებას სომხეთის საგარეო ვაჭრობის ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები გააცნო.

მსმენელთა დიდი ინტერესი დაიმსახურა აზერბაიჯანის ევროინტეგრაციის ეროვნული კომიტეტის უფროსი ექსპერტის რიშად შირინოვის მოხსენებამ. იგი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში დემოკრატიის განვითარების პრობლემებს შეეხო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ეკა ლეკაშვილმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის ისტორიული გამოცდილება გაიხსენა, თანამედროვე მდგომარეობა შეაფასა და მომავლის პერსპექტივებზე ისაუბრა. ხოლო ასოცირებულმა პროფესორმა მარინე მინდორაშვილმა მსოფლიო ფინანსური კრიზისი რეგიონალური ეკონომიკური სტაბილურობის ჭრილში განიხილა.

საინტერესო დისკუსიები გაიმართა ფოკუს-ჯგუფებში: სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი მონაწილეები გულახდილად საუბრობდნენ სამხრეთ კავკასიის მომავალზე. აღინიშნა, რომ ეკონომიკურ ინტეგრაციას ხელს უშლის პოლიტიკური არასტაბილურობა, რომლის დაძლევაც შეიძლება მშვიდობის, გონიერების და კეთილი ნების შემთხვევაში. სხვანაირად წარმოუდგენელია რეგიონალური ეკონომიკური განვითარება.

სტუმრებმა თავისუფალ დროს დაათვალიერეს თბილისი და მოინახულეს საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა.

კურსის დასრულების შემდეგ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს სპეციალური სერტიფიკატები გადაეცათ, ხოლო მათი მოხსენებები ერთობლივი კრებულის სახით გამოიცემა. ასევე, გამოიკვეთა მომავალი ღონისძიებების გამართვის პერსპექტივა კონკრეტული მიმართულებების მიხედვით როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო ნაზით. მსგავსი შეხვედრები წინგადადგმული ნაბიჯია საერთო კავკასიური სტაბილურობის და ინტეგრაციის გზაზე.

უჩა გოგიშვილი,
ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი

სტუდენტები ჟურნალისტურ პრაქტიკას ითხოვენ

ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დგას — ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაა. ფაკულტეტზე არსებული ტექნიკური ბაზა არასაკმარისია იმ რაოდენობის სტუდენტებისთვის, რომლებიც ჟურნალისტიკის მიმართულებაზე სწავლობენ. დასაქმების ბაზარი კი, სადაც, თავისთავად, ძალიან დიდი კონკურენციაა, მაღალი დონის პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კადრებს ითხოვს. პრობლემის მოგვარებას ცდილობს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

ნატო ოგოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება არა ერთ პრობლემასთან არის დაკავშირებული. უნივერსიტეტში არ არსებობს ისეთი ტექნიკური ბაზა, რომელიც მომავალ ჟურნალისტებს სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალებას მისცემს. თსუ-ში ჟურნალისტიკის სპეციალობას 400-მდე სტუდენტი ეუფლება, პრაქტიკული სამუშაოებისთვის კი მათ მხოლოდ 9 კამერა, 8 ფოტოაპარატი და ერთი კომპიუტერული კლასი აქვთ. ამ ტექნიკის უმეტესი ნაწილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ წელს შეიძინა. არსებული რესურსი, რა თქმა უნდა, სტუდენტებისთვის პრაქტიკის გასავლელად არასაკმარისია. ვითარება რომ რთულია, ამაზე ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებიც საუბრობენ.

თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტების მცირე ნაწილი პრაქტიკულ სწავლებას სხვადასხვა მედიასაშუალებებში გადის, თუმცა საინფორმაციო მაუწყებლების მუშაობის რიტმიდან გამომდინარე, ისინი ვერ ახერხებენ საფუძვლიანი პროფესიული ცოდნის მიღებას. მათთვის სრულიად უცხოა მაუწყებლობაში არსებული ვითარება და მუშაობის სტილი, რომლის კარგად ათვისებასაც დიდი დრო სჭირდება. ამასთანავე, შეუძლებელია საქართველოში არსებულმა მედიასაშუალებებმა, თუნდაც ერთი უმაღლესი სასწავლებლის, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ყველა სტუდენტის პრაქტიკული სწავლება უზრუნველყოს.

„ვაპირებ, ქართულ ჟურნალისტიკაში ჩემ კოლეგა მენეჯერებს დაველაპარაკო და მათ ვთხოვო — გამოაცხადონ ვაკანსიები პრაქტიკის გავლის მსურველებისთვის. სტუდენტებს შეეძლებათ საკუთარი მონაცემების გაგზავნა და ვინც გაიმარჯვებს, შესაბამისად, პრაქტიკასაც გაივლის. მიმაჩნია, რომ თითოეულ სტუდენტს უნდა ჰქონდეს შანსი და თავად ზრუნავდეს პროფესიული განვითარებისთვის. თუმცა, მანამდე მათ უნივერსიტეტში უნდა ისწავლონ ჟურნალისტიკის ანა-ბანა და გავლილი უნდა ჰქონდეთ ელემენტარული პრაქტიკა. ასევე, კარგად უნდა შეითვისონ ჟურნალისტიკის მთავარი პრინციპებიც, რადგან მხოლოდ პრაქტიკა არ არის საკმარისი პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის. თეორიის თვალსაზრისითაც, ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. დასახვეწია სწავლების მეთოდები, რაზეც აქტიურად ვმუშაობთ“, — განაცხადა ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა მარინე ვაშაყმაძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე ცვლილებები უკვე მიმდინარეობს, რაც ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას ითვალისწინებს, სადაც სტუდენტები თანამედროვე მედიასტანდარტების შესაბამის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას მიიღებენ და დღეს არსებული მედია-ბაზრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ.

„ახალი კურიკულუმი შევიმუშავეთ. ავიღეთ ჟურნალიზმის სწავლების იუნესკოს მოდელი, ევროპის უმაღლესი სასწავლებლების საუკეთესო კურიკულუმები და ჩვენს რეალობას მოვარგეთ. ახლა უკვე თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტი საგნის გავლის პარალელურად ინტენსიურ კურსს გადის, რაც პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას გულისხმობს. გაზეთის შემთხვევაში ეს არის დაკაბადონება, კომპიუტერთან ურთიერთობა, პროგრამები, ტელევიზიის შემთხვევაში — გადაღება და მონტაჟი. ადრე თუ სტუდენტს გადაღებაზე ტექნიკური მუშაკები და პედაგოგები მიყვებოდნენ და ისინი იღებდნენ კადრებს და ამონტაჟებდნენ, ახლა უკვე ვმოქმედებთ პრინციპით, რომ სტუდენტებმა ჯერ ისწავლონ და შემდეგ თავად გადაიღონ მასალა. უნივერსიტეტი დაგვეხმარა და უკვე გვაქვს 9 ვიდეო კამერა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს ძალიან ცოტაა. საქართველოს ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელშიც კი თითო სტუდენტზე თითო კამერა მოდის, მაგრამ თანდათან შევავსებთ ტექნიკურ დეფიციტს.

მთავარია, რომ უნივერსიტეტის შიგნით უკვე შესაძლებელია რაღაც პრაქტიკული სამუშაო განიოს სტუდენტმა. ამ მხრივ ადრე უფრო შეზღუდულები იყვნენ. მაგალითად, სტუდენტური გაზეთები იბეჭდებოდა და გამოდიოდა, მაგრამ მუშაობის პროცესში მათ სტატიების რედაქტირების, გაზეთის მაკეტის შედგენისა და მისი დაკაბადონების შესაძლებლობა არ ჰქონდათ. წელს პირველად გაკეთდა კომპიუტერული ლაბორატორია, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შეგვეცვალა სწავლების მეთოდი — შესაბამისად სტუდენტებს შეუძლიათ ინდივიდუალურად იმუშაონ. ერთი კომპიუტერული კლასი, რა თქმა უნდა, არასაკმარისია, მაგრამ სულ არარაობას სჯობს. სტუდენტებს ვეთანხმები: ის ტექნიკური ბაზა, რაც გვაქვს, მათ არ ყოფნით! ჩვენი გეზიც სწორედ აქეთ არის მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი რესურსი გვქონდეს“, — გვითხრა თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა მარინე ვაშაყმაძემ.

თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების ტექნიკური თვალსაზრისით სრული უზრუნველყოფა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. მართალია, 2010 წლის საგაზაფხულო სემესტრის დასაწყისში ადმინისტრაციის ხელშეწყობით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით ჟურნალისტიკის მიმართულებას ახალი ტექნიკა გადაეცა, მაგრამ ამით ტექნიკური დეფიციტი მხოლოდ ნაწილობრივ შეივსო.

„ამ სემესტრის დასაწყისში ჟურნალისტიკის მიმართულებას 100 000 ლარის ღირებულების ტექნიკა გადავეცით. კერძოდ: ვიდეოკამერები, პროექტორები, ვიდეომაგნიტოფონი, დიქტოფონები – ეს ყველაფერი აუცილებელი იყო სტუდენტების პროფესიული განათლებისთვის. ტექნიკა საზღვარგარეთიდან შემოვიტანეთ და საუკეთესო ხარისხის გახლავთ. ჩვენ გვესმის, რომ ეს საკმარისი არ არის. საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, რომ ჯგუფში ყველას ჰქონოდა თავისი კამერა და ინდივიდუალურად შეძლებოდათ მუშაობა, მაგრამ ამდენი საშუალება ჯერჯერობით არ გვაქვს. ზაფხულში კიდევ დავიწყებთ კონსულტაციებს ჟურნალისტიკის მიმართულების სპეციალისტებთან და ჩამოვყალიბდებით — დამატებით რა ტექნიკის შეძენას შევძლებთ“, – განაცხადა თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა რომან ხარბედიამ.

ჟურნალისტიკის მიმართულებაზე წლების განმავლობაში არსებული პრობლემის მოგვარების პროცესი უკვე მიმდინარეობს. ტექნიკური რესურსის შევსებაზე ზრუნვა და თანამედროვე მედია-სტანდარტების შესაბამის სასწავლო პროგრამებზე მუშაობა დაწყებულია. პროგრამების ნაწილი კი უკვე ამოქმედდა. პრობლემის საბოლოოდ გადასაჭრელად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საკმარისი ფინანსები ამ ეტაპზე არ გააჩნია, თუმცა ქართულ მედია-სივრცეში სტუდენტთა კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბებისთვის სამომავლო გეგმებს აწყობს.

სტუდენტთან პირისპირ

იოსებ კენჭაძე, იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი:

? — ძალიან გაზრდილია მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა იურიდიულ ფაკულტეტზე. რა საჭიროა 900-მდე სტუდენტის ჩარიცხვა და ყოველწლიურად ამდენივე კურსდამთავრებულის გამოშვება, რომელთა 70% არაკონკურენტუნარიანია დასაქმების ბაზარზე?

რუსუდან ჩიქოვანი, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— ეს უკმაყოფილება სტუდენტის მხრიდან არ არის სამართლიანი. თუ სწავლების ხარისხთან დაკავშირებით პრობლემები არ იქმნება, რით არის ცუდი უფრო მეტი რაოდენობის სპეციალისტის მომზადება? უნივერსიტეტის დიპლომს დაუმსახურებლად ვერავინ იღებს, ნამდვილად მაღალკვალიფიციური კადრების დასაქმებას კი თავად ბაზარი არეგულირებს. ვერც ერთი უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს მისი კურსდამთავრებულების მასიურად დასაქმებას, თუმცა, შესაძლებლობის ფარგლებში, აქვე, უნივერსიტეტში საქმდება გამორჩეული სტუდენტების ნაწილი.

ნინო მებაღიშვილი, მედიცინის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:

? — ჩვენთან არის ე.წ. კურაციული სწავლება. 10-დღიანი კურაციების გავლა ზოგჯერ ნახევარ ვადაში, გადარბენით და ზერელედ გვიხდება. სემესტრში 12 საგნის მაღალ ქულებზე ჩაბარება კი ბუნებრივად შეუძლებელია, რაც სტიპენდიის მოპოვების იმედსაც გვართმევს.

ალექსანდრე ცისკარიძე — მედიცინის ფაკულტეტის დეკანი:

— კურაციული სწავლება — ეს არის სამედიცინო განათლების სპეციფიკური და ძალიან ეფექტური ფორმა, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს არც ჩვენ პარტნიორ უნივერსიტეტებში (საქართველოში ყველაზე წარმატებულ სამედიცინო სკოლებში) და არც საქართველოს ფარგლებს გარეთ. სტუდენტს არ უწევს სხვადასხვა დეპარტამენტში სირბილი: დროის ერთ მონაკვეთში სწავლობს ნევროლოგიას, შემდეგ — ოფთალმოლოგიას, მეანობა-გინეკოლოგიას და ა. შ. 10-დღიან პერიოდში იგულისხმება არა 1-საათიანი, არამედ ინტენსიური მეცადინეობა. საერთოდ, ნებისმიერ უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლა ურთულესია. ზღვა მასალაა ასათვისებელი. დიდი მუშაობაა საჭირო პროფესორთან, პაციენტთან, საკუთარ თავთან, ბიბლიოთეკასა თუ სახლში, მაგრამ მედიცინის კარგი მუშაკი სხვაგვარად ვერ ჩამოყალიბდება. რაც შეეხება სტიპენდიებს, ნიჭიერ სტუდენტთა ფინანსური წახალისებისთვის კანდიდატთა შერჩევა ხორციელდება იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით, რაც დადგენილი სტანდარტია ყველა ფაკულტეტისათვის (აკადემიური მოსწრება, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და პუბლიკაციები). რექტორის ეს ბრძანება ეფუძნება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლს და საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის 490-ე ბრძანებით დამტკიცებულ თსუ-ის წესდების მე-16 მუხლს.

მასალა მოამზადა
მარი ბეჭიტაშვილმა

კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამომავლო გზა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დამყარებისა და განახლების კუთხით სერიოზულ მუშაობას იწყებს.

3, 4 და 7 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციისა და ფაკულტეტების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი, რომელსაც ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორი, ბულგარეთში ამერიკული უნივერსიტეტის ვიცეპრეზიდენტი განვითარების საკითხებში უილიამ კირშხე უძღვებოდა. ტრენინგის თემა იყო კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა და ფონდების მოზიდვა.

ტრენინგი გაიმართა USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომელიც სამფაზიანია და პირველ ეტაპზე ითვალისწინებდა თსუ-ის კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის კოორდინატორის შერჩევას, შემდეგ ეტაპზე კი — საქართველოში მუდმივად მცხოვრები ამერიკელი ექსპერტის შერჩევას, რომელიც უკვე არჩეულ კოორდინატორს ოფისის აწყობაში დაეხმარებოდა. ამავე პროექტის ფარგლებში შეირჩა უცხოელი ექსპერტი, ბატონი უილიამ კირშხე, რომელიც დაკავებულია კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და ფონდების მოძიების საკითხებით.

პროექტის პირველი ფაზა წარმატებით დასრულდა — თსუ-ის კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის კოორდინატორად უკვე არჩეულია მარიამ ქებურია, რომელსაც 2011-2012 წლის სამუშაო გეგმის შედგენაში უცხოელი ექსპერტები ეხმარებიან.

ამჯერად პროექტი მეორე ეტაპზეა. პროფესორი კირშხე ზაფხულში კიდევ ორჯერ ეწვევა უნივერსიტეტს და დახმარებას გაუწევს კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურს.

კონფლიქტოლოგიის სამეცნიერო მიმართულების მუშაობის ანგარიში

17 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონფლიქტოლოგიის სამეცნიერო მიმართულების 2008-2010 წლების მუშაობის ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრას კონფლიქტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, სოციალურ-პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ. პრეზენტაციაზე მოხსენებით წარსდგა კონფლიქტოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი გუგული მაღრაძე.

კონფლიქტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა 2008 წელს ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზისა და მენეჯმენტის ინსტიტუტთან და დენვერის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. ინსტიტუტის პარტნიორები არიან ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი (აშშ), დენვერის უნივერსიტეტი (აშშ), გისენის უნივერსიტეტი (გერმანია), რონდინის მშვიდობის ფონდი (იტალია).

ინსტიტუტის დონორები არიან აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, პოლიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაცია, აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის კომისიის საგრანტო პროგრამა.

თამარ მარუაშვილი

ინსტიტუტის მიზანია სხვადასხვა სახის კონფლიქტების მეცნიერული კვლევა მათი პრევენციის და მოგვარებისთვის საჭირო რეკომენდაციების შესამუშავებლად; საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება სტუდენტ-ახალგაზრდებში და მთელ საზოგადოებაში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების კულტურის დასანერგად.

2004 წელს თსუ-სა და ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის (აშშ) ლექტორებმა შეიმუშავეს სამაგისტრო პროგრამა „კონფლიქტის ანალიზი და მართვა“. დღემდე 40-მდე სტუდენტს მიენიჭა მაგისტრის ხარისხი კონფლიქტოლოგიაში, მათი 90% დასაქმებულია.

„1998 წლიდან რამდენიმე მეცნიერული მივლინება მქონდა აშშ-ში, შემდეგ „ფულბრაიტი“ ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში, რის შედეგადაც მეცნიერთა ჯგუფს ჩამოგვიყალიბდა იდეა თსუ-ში კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შეგვექმნა. ეს არის ერთ-ერთი პირველი სამაგისტრო პროგრამა კონფლიქტის ანალიზსა და მართვაში. ეს სამწლიანი პროექტი, რომელიც გულისხმობდა ახალი სასწავლო პროგრამის შედგენას, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა დააფინანსა. ეს იყო სრულიად ახალი საგნები და ახალი მიმართულება კონფლიქტოლოგიაში. ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი გვაძლევდა რეკომენდაციებს, საიდანაც ყოველწლიურად ჩამოდიოდნენ მეცნიერები ლექციების წასაკითხად. დღეისთვის უკვე არსებობს სამაგისტრო პროგრამა კონფლიქტოლოგიაში. ამ პროგრამას ყოველწლიურად 10-15 მაგისტრანტი ამთავრებს. პროგრამა ინტერდისციპლინარულია და ამ მიმართულებაზე სწავლის გაგრძელება შეუძლია ნებისმიერ ბაკალავრს, რომელსაც დასაქმების რეალური პერსპექტივა აქვს,“ — განაცხადა კონფლიქტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა გუგული მაღრაძემ.

2009 წელს ინსტიტუტმა სადოქტორო პროგრამაც მოამზადა კონფლიქტოლოგიაში. დღეისათვის პროგრამაში 14 დოქტორანტია ჩართული.

კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის სტუდენტები წარმატებით აგრძელებენ სწავლას შვედეთის, აშშ-ს, ბარსელონას, იაპონიის მშვიდობის უნივერსიტეტებში.

კონფლიქტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი არ შემოიფარგლება რაიმე ერთი ტიპის კონფლიქტების სწავლებით, მაგალითად, საერთაშორისო და ინტერპერსონალური კონფლიქტებით. სტუდენტს ძირითადად ეძლევა ცოდნა კონფლიქტების რაობის, ანალიზის, სხვადასხვა სახეების, კონფლიქტის მოგვარების სხვადასხვა მექანიზმების შესახებ.

2008-2010 წლებში ინსტიტუტის მიერ დაიგეგმა და შემუშავდა პროგრამა საველე კვლევისთვის საქართველოში კონფლიქტის მოგვარების ტრადიციული მექანიზმების შესახებ. განხორციელდა სოციოლოგიური კვლევები საქართველოში მედიაციისადმი დამოკიდებულების შესახებ. კონფლიქტოლოგიაში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისათვის ინგლისურიდან ქართულად ითარგმნა სავალდებულო ლიტერატურა და მომზადდა რიდერები. დასაბეჭდად არის მზად სახელმძღვანელო „კონფლიქტების მოგვარების ალტერნატიული გზები" და მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელო „ფსიქოსოციალური დახმარება კრიზისულ სიტუაციებში.“

დაკომპლექტდა ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, სადაც მაგისტრებისთვის, დოქტორანტებისა და მკვლევარებისათვის ხელმისაწვდომია კონფლიქტოლოგიისა და მედიაციის დარგის ყველა საჭირო ლიტერატურა. ინსტიტუტი სისტემატურად ატარებს სემინარებს და ტრენინგებს კონფლიქტების მოგვარების ალტერნატიული გზების შესახებ.

2008 წლის აგვისტოში ინსტიტუტში ჩამოყალიბდა კრიზისის მართვის ცენტრი. ცენტრის თანამშრომლებმა ფსიქოლოგიური კონსულტაციები და დახმარება აღმოუჩინეს აგვისტოს ომში დაზარალებულ 300-ზე მეტ ადამიანს.

ცენტრმა ორგანიზება გაუკეთა ამერიკელი სპეციალისტის ტრენინგ-პროგრამას „კრიზისის მართვის საკითხებში“.

სასწავლო პროგრამის შედეგად მომზადდა 100-მდე ფსიქოლოგი, ექსპერტი და სოციალური მუშაკი აგვისტოს ომში დაზარალებული პირებისათვის გადაუდებელი ფსიქოსოციალური დახმარების გასაწევად.

2008 წელს დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ცენტრის და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით საქართველოში პირველი მედიაციის კლინიკა შეიქმნა. მედიაციის კლინიკის მთავარი მიზანია მედიაციის საშუალებით მოდავე ან დაპირისპირებულ მხარეთა შორის კონფლიქტების მოგვარება. მედიაცია (შუამავლობა) არის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს მესამე ნეიტრალური მხარის (მედიატორი) მონაწილეობით მოდავე ან დაპირისპირებულ მხარეთა პრობლემების მოგვარებისთვის, როდესაც განიხილება სადავო საკითხები, დაპირისპირების მიზეზები, გამოვლინდება საერთო ინტერესები და მოიძებნება პრობლემის გადაჭრის გზები. ამ პროცესში გადაწყვეტილებას უშუალოდ მოდავე მხარეები იღებენ, ხოლო მედიატორი წარმართავს პროცესს, სთავაზობს პროცედურებს და ხელს უწყობს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც დააკმაყოფილებს ორივე მხარის ინტერესებს.

მედიაციის კლინიკის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს მედიაციის ტრენინგების და სემინარების ჩატარება, უშუალო პრაქტიკული საქმიანობა კონფლიქტური სიტუაციების (ქეისების) მოსაგვარებლად და აგრეთვე კვლევების ჩატარება.

„მედიაციის კლინიკა პირველად გაიხსნა საქართველოში — ეს არის პროფესიონალი მედიატორის ინსტიტუტი. მედიატორი — ეს არის პროფესიონალი, რომელმაც იცის დაპირისპირებულ მხარეებს პრობლემის მოგვარებაში როგორ დაეხმაროს. პროფესიონალი მედიატორი რომ გახდე, 48 საათიანი სპეციალური კურსი უნდა გაიარო, რეალურად განიხილო რამდენიმე სადაო საქმე და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებ მედიატორის დამადასტურებელ სერტიფიკატს. ასეთი ინსტიტუტები ამერიკაში ბევრგან არსებობს, მაგალითად კოლორადოს შტატში, სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავების 95% სწორედ ამ ინსტიტუტის მეშვეობით წყდება. სასამართლო, როგორც ასეთი, მათ არ იხილავს. მედიატორის შეთანხმებაზე ხელს აწერს ორივე მოდავე მხარე და მას უკვე დოკუმენტის მნიშვნელობა ეძლევა. თუ მოდავე მხარეები მედიატორის დახმარებით ვერ შეთანხმდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ იხილება ეს საქმე სასამართლოში. ასევე აღსანიშნავია ის, რომ მედიატორის ინსტიტუტის მთავარი ღირსება – კონფიდენციალურობაა. მედიატორის შეთანხმებით ორივე მოდავე მხარე კმაყოფილია, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებით ერთი მხარე ყოველთვის წაგებულია და მეორე მოგებული.

მედიაცია — ეს არის მექანიზმი, როდესაც კონფლიქტის მოგვარება ხდება ალტერნატიული გზებით, შუამავლის მეშვეობით. მედიატორობის ინსტიტუტი ტრადიციულად არსებობდა საქართველოში, მაგრამ დროთა განმავლობაში ის ოფიციალურმა სასამართლომ ჩაანაცვლა. კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი, რესპუბლიკის მასშტაბით, ატარებს კვლევებს — თუ რა იცის ქართულმა საზოგადოებამ მედიაციის მექანიზმის შესახებ. კვლევაში მონაწილეობენ იურისტები, ადვოკატები, მოსამართლეები, პედაგოგები. საზოგადოების დიდმა ნაწილმა გამოთქვა მზაობა ამ ინსტიტუტის დანერგვის თაობაზე“, — აღნიშნა ქალბატონმა გუგული მაღრაძემ.

მედიაციის ინსტიტუტი მომსახურებას სთავაზობს იურიდიულ პირებს — სამთავრობო, არასამთავრობო, ბიზნეს და პროფესიულ ორგანიზაციებს. ასევე ფიზიკურ პირებს – მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ ბიზნესთან დაკავშირებული, ოჯახური, სამეზობლო ან სხვა კონფლიქტები.

მედიაციის კლინიკაში მუშაობენ ქართველი სპეციალისტები – ფსიქოლოგები, რომლებმაც სტაჟირება კოლორადოს შტატის სხვადასხვა მედიაციის ცენტრებსა და დენვერის უნივერსიტეტში (აშშ) გაიარეს.

კონფლიქტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ისაუბრა აგრეთვე ინსტიტუტის საერთაშორისო პარტნიორებსა და დონორებზე.

პრეზენტაციაზე მოწვეულმა პროფესორ-მასწავლებლებმა დიდი ინტერესი გამოთქვეს მედიატორის ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ და ამ საქმიანობის გაფართოებაზე, ასევე იმსჯელეს საზოგადოებაში მისი პოპულარიზაციის გზებზეც.

ქართულ-ოსური ურთიერთობების მოგვარებაში მედიაციის გამოყენების პრაქტიკის შესახებ

24 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტში პოსტ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპაში პირველი მედიაციის კლინიკის ამოქმედებასთან დაკავშირებით გაიმართა პრეზენტაცია ქართულ-ოსური ურთიერთობების მოგვარებაში მედიაციის გამოყენების პრაქტიკის შესახებ. პრეზენტაციის ორგანიზატორები იყვნენ: აშშ-ს ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის პროფესორი სუზან ალენ ნენი და კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი გუგული მაღრაძე.

თამარ მარუაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აშშ-ს ჯორჯ მეისონის და დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ცენტრის და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით პირველად მთელ პოსტ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მედიაციის კლინიკა შეიქმნა.

სუზან ალენ ნენი 1997 წლიდან მუშაობს ქართულ და ოსურ მხარეებთან, მისი სადოქტორო თემა საქართველოში არსებულ კონფლიქტებს ეხება. ის ამჟამადაც ჩართულია როგორც მედიატორი ოს და ქართულ მხარეებს შორის. იგი ყოველთვის აქტიურია საქართველოს საკითხებთან მიმართებაში. მისი საქმიანობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია ქართული საზოგადოებისთვის.

„ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი უკვე დიდი ხანია მედიაციის ცენტრებთან აქტიურად თანამშრომლობს. მედიაცია არის პროცესი, რომელიც სხვადასხვა სახის კონფლიქტებს აგვარებს. მოგეხსენებათ, კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას გარკვეული ეტაპებისა და საფეხურების გავლა სჭირდება.

მედიაციის ინსტიტუტი დიდი წარმატებით მუშაობს აშშ-ში. საზოგადოების ნდობის ფაქტორის მოპოვებას დაახლოებით 15 წელი დასჭირდა.

ახლახანს ვიყავი ერევანში, სადაც შეხვედრა შედგა ქართულ და ოსურ მხარეებს შორის. საუბარი შეეხებოდა იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც მომავალში კონფლიქტის დარეგულირებას შეუწყობს ხელს. დიალოგში, თითოეული მხრიდან, ათ-ათი ქალი მონაწილეობდა. შეხვედრაზე გამოიკვეთა დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლების საერთო ინტერესები, განსაკუთრებული ნება და მზაობა რეალური ნაბიჯების გადასადგმელად. კერძოდ, გაერთიანდეს ოჯახები, შესაძლებლობა მიეცეთ მოინახულონ ნათესავები და ა.შ.

ეს კონფლიქტი დღეს რთულ ფაზაშია, ამიტომ მნიშვნელოვანია ორივე მხარეს შორის დიალოგის დაწყება“, — აღნიშნა სუზან ალენ ნენმა.

მან აგრეთვე ისაუბრა მედიაციის მეთოდის დადებითი მხარეების შესახებ. მისი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მედიაციის დროს ქვეყნებს შორის კულტურულ, ისტორიულ და საგანმანათლებლო ურთიერთობებს. სუზან ალენ ნენმა ისაუბრა იმ გამოცდილების შესახებაც, რომელიც სხვადასხვა კონფლიქტებზე მუშაობისას შეიძინა.

„მედიაციის მეთოდმა წარმატებული შედეგების მოტანა რომ შეძლოს, საჭიროა საზოგადოების ინფორმირებულობა მედიაციის შესაძლებლობებზე.

ამასთან დაკავშირებით თსუ-ში მომზადდა 14 ახალი საგანი. მთავარია, რომ საქართველოსთვის მოვამზადოთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ეცოდინებათ რეალური გზები — თუ როგორ უნდა მოგვარდეს კონფლიქტები მშვიდობიანი და არა ძალისმიერი მეთოდებით“, — განაცხადა კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გუგული მაღრაძემ.

„რამდენი ვართ... რამდენი გამიზრდია...“

ლეგენდარული ნიკო კეცხოველი თურმე დიდ მეცნიერებს ევედრებოდა – ხშირად გაევლოთ უნივერსიტეტის დერეფნებში, რათა სტუდენტებს მათთვის თვალის შევლება შეძლებოდათ... დაფიქრებაც არ უნდა, ისე მიხვდები, რა მიზანი ჰქონდა ამ მოკრძალებულ სათხოვარს — მას სურდა, ახალგაზრდებს ეამაყათ უნივერსიტეტით და იმ კორიფეებით, ვის მხრებზეც ქართული მეცნიერების ტაძარი იდგა.

მადლობა ღმერთს, დღესაც გვყავს ასეთი სახეები — ადამიანები, რომელთა ხსენება უნივერსიტეტთან, ცოდნასთან და ჭეშმარიტ მეცნიერებასთან ასოცირდება. მათ შორის გამორჩეულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რისმაგ გორდეზიანი. იგი აზროვნების მასშტაბის, ცოდნისა და ავტორიტეტის გამო უნებურად განგაწყობს იმგვარი პატივისცემისა და მოწიწებისკენ, რაც მხოლოდ დიდი მეცნიერების მიმართ შეიძლება გაუჩნდეს სტუდენტს.

მაია ტორაძე

ბატონი რისმაგის ერუდიცია სათავეს ინტელექტუალების ოჯახიდან იღებს. მამა – ცნობილი მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე, ქართული შრიფტის დიდი მოამაგე, ბენო გორდეზიანი გახლდათ, დედა – ექიმი-სტომატოლოგი ნანა სილოგავა. ბატონი რისმაგი სიცილით გვიხსნის: „მამა რაჭველი იყო, დედა — მეგრელი და რაჭველისა და მეგრელის შეზავებამ, ჩემი აზრით, დადებითი შედეგი გამოიღო, არც ნამეტანი ამაცქვიტა და არც – ძალიან დამადინჯაო“. სწორედ მისმა მშობლებმა მოახერხეს, რომ ომის შემდგომ წლებში ერთადერთი შვილისთვის საფუძვლიანი განათლება მიეცათ და უცხო ენები ესწავლებინათ. „კარგა ხნის მერე მივხვდი, რამხელა სიკეთე გამიკეთეს ჩემმა მშობლებმა“, — ამბობს ბატონი რისმაგი ჩვენთან საუბარში და დასძენს: „ჩემს სკოლაში, რომელიც სოლოლაკში, მახარაძის ქუჩაზე მდებარეობდა, მთელი თბილისის „ძველი“ და „დამრტყმელი“ ბიჭები სწავლობდნენ. აქედან გამომდინარე, ერთნაირი წარმატებით შემეძლო ქუჩის გზით წასვლაც და სერიოზული კარიერის შექმნაც, რადგან სკოლაში საკმაოდ წარმატებულ მოსწავლედ ვითვლებოდი. მე ეს გზა ავირჩიე, თუმცა ერთგვარი ოქროს შუალედის დაცვაც მოვახერხე — ყველა ჩემი სკოლელი ბიჭი პატივს მცემდა“.

ცხადია, ჩვენ ძნელად წარმოგვიდგენია სხვაგვარი რისმაგ გორდეზიანი, ამიტომაც შევეცადეთ ინტერვიუში ის საფუძვლები მოგვეძია, რამაც საქართველოს საერთაშორისო მასშტაბის მეცნიერი შესძინა:

* * *

— ბატონო რისმაგ, როგორც აღნიშნეთ, სკოლაში წარმატებული მოსწავლე იყავით და ერთნაირად ფლობდით ყველა საგანს, რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ფილოლოგიის ფაკულტეტი?

— ჩემი არჩევანი ჩემი სკოლის დირექტორის და ქართულის მასწავლებლის, ვარლამ თავაძის თხოვნამ განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძლიერი ვიყავი საბუნებისმეტყველო საგნებში და ბევრს მიაჩნდა, რომ სწორედ ამ გზით უნდა წავსულიყავი, ფილოლოგია ავირჩიე, რადგან მაშინ ცოტას მეცი „ვგიჟპოეტობდი“ — რომანებს და მოთხრობებს ვწერდი.

პირველ კურსზე, როგორც კი საუნივერსიტეტო გარემოში გავერკვიე — კლასიკურმა ფილოლოგიამ მიმიზიდა. ქართულ ფილოლოგიაში სრული განათლება მივიღე და ბერძნული ფილოლოგიით ადრეული ასაკიდანვე დავინტერესდი. უნდა გითხრათ, რომ ბერძნული, როგორც საჭირო იყო, საკმაოდ გვიან ვისწავლე, რადგან ჩვენს დროს სპეციალური განყოფილება ჯერ კიდევ არ არსებობდა. სხვათაშორის, ბატონ აკაკი ურუშაძესთან ერთად, წილად მხვდა ბედნიერება, რომ 1967 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოფიციალურად გაგვეხსნა კლასიკური ფილოლოგიის განყოფილება.

— იმ პერიოდში უნივერსიტეტი მდიდარი იყო იმით, რომ ლექციებს მეცნიერების კორიფეები კითხულობდნენ. მათ შორის ვინ იყო თქვენი მასწავლებელი?

— უნდა გითხრათ, რომ ბედნიერი კაცი ვარ, რადგან ბევრი ის მეცნიერი, ვინც მაშინ ქართული მეცნიერების კორიფედ მიიჩნეოდა, ან ჩემი ლექტორი იყო, ან მათ ლექციებს ვესწრებოდი. მომისმენია კორნელი კეკელიძის, ალექსანდრე ბარამიძის, ვარლამ თოფურიას, გიორგი ახვლედიანის, სიმონ ყაუხჩიშვილის, აკაკი ურუშაძის, აკაკი შანიძის ლექციები. აღარაფერს ვამბობ პანტელეიმონ ბერაძეზე, რომელმაც ძალიან დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ ამ დარგით დავინტერესებულიყავი. მოკლედ, ვინც კი მაშინ ყველაზე წარჩინებული და ცნობილი მეცნიერი იყო, მათთან ან როგორც სტუდენტი, ან როგორც მსმენელი და სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე ვკონტაქტობდი.

— იმ პერიოდში ფილოლოგიის კურსდამთავრებული ან მწერალი ხდებოდა, ან მასწავლებლად მუშაობდა. თქვენ მესამე და ყველაზე რთული გზა – მეცნიერება აირჩიეთ. როდის გაჩნდა ინტერესი სამეცნიერო კვლევებისადმი?

— უნივერსიტეტში იმ განწყობით შემოვედი, რომ ან პოეტი გავმხდარიყავი, ან — პროზაიკოსი. პირველსავე წელიწადს პროფესორმა პანტელეიმონ ბერაძემ მომცა სამეცნიერო თემა — „ცენზურა დაქტილურ ჰეგზამენტში“. ეს ჩემთვის იმ მომენტში თითქმის ჩინური იყო. როგორც კი ჩავუჯექი თემას, მადლობა ღმერთს, უცხო ენები ვიცოდი და შემეძლო მასალების ამ ენებზე მოძიება, მივხვდი, რომ ჩემი მოწოდება სწორედ ამ ტიპის აზროვნება იყო. ამ დროიდან გადავწყვიტე, რომ მეცნიერებაში ვიმუშავებდი და ყოველ წელს ვამზადებდი მოხსენებებს. ასე რომ, დიდი ჭოჭმანი არ დამჭირვებია, თუმცა ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლამ ძალიან დიდი საქმე გამიკეთა — ანტიკურ კულტურას მაზიარა.

— ჩვენ გვყავდა მეცნიერები, რომელთა სახელებთანაც უნივერსიტეტი ასოცირდებოდა. დღეს ასეთი სახეები ცოტაა, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თქვენ ის ადამიანი ხართ, რომლის სახელი და სამეცნიერო მოღვაწეობა მთლიანად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკავშირდება. რა შეგრძნებაა, როცა თქვენი სახელი იმ მეცნიერთა გვერდით მოიხსენება, რომელთაც თაყვანს სცემდით?

— მაქვს მხოლოდ იმის შეგრძნება, რომ ახალგაზრდა თაობისთვის ჯერჯერობით სასარგებლო შეიძლება ვიყო. როცა ეს აღარ მექნება, აბსოლუტურად მშვიდად გადავალ ცხოვრების საპენსიო რეჟიმზე. მთავარია, რომ ჯერ პირველკურსელებთანაც არ მიგრძვნია, რომ ერთმანეთს ვერ ვუგებთ და სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ. რაც შეეხება განსაკუთრებულობის გრძნობას, ადამიანს ეს გრძნობა არასოდეს უნდა გაუჩნდეს. მან უნდა აკეთოს თავისი საქმე, რომელიც საზოგადოებამ და დრომ უნდა შეაფასოს.

გეთანხმებით იმაში, რომ, როდესაც ჩვენი თაობა უნივერსიტეტში შემოდიოდა, იცოდა ვინ იყვნენ ის მეცნიერები, რომლებიც აუდიტორიებში და დერეფნებში ხვდებოდათ. დღეს კი, დარწმუნებული ვარ, პირველკურსელისთვის ნაკლებადაა ცნობილი უნივერსიტეტის სახეები, მათთვის ისინი რაღაც მნიშვნელოვანს არ წარმოადგენენ. ეს დამფიქრებელია, რადგან მეცნიერებაში ავტორიტეტი აუცილებლად უნდა იყოს. სხვანაირად, ჩვენს მეცნიერებას რეზონანსი არ ექნება. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური, საშუალო მეცნიერების „გაფაფხურება“ საერთაშორისო მასშტაბით, მაგრამ არ იქნება ქართველი მეცნიერებისთვის სერიოზული ანგარიშგაწევა.

— როგორი სტუდენტი იყავით, მივხვდით... თავად როგორი ლექტორი ხართ?

— ვფიქრობ, რომ არც ერთი უკიდურესობისკენ არ ვიხრები — არც ძალიან მკაცრი ვარ და არც ძალიან ლიბერალი. ვარ ლექტორი, რომელსაც შეუძლია ახალ თაობას ცოდნა და ბევრი საჭირო ინფორმაცია გადასცეს.

— როგორი სტუდენტი გიყვართ?

— ნიჭიერი სტუდენტი მიყვარს. როცა ჯგუფში შევდივარ და სტუდენტებს თემას ვაძლევ, ვეუბნები, რომ ყველაზე მეტად კმაყოფილი ვიქნები, თუ რომელიმე მათგანი გამაკრიტიკებს, ანუ ჩემს ნაშრომებში აღმოაჩენს ისეთ რამეს, რაც მას კრიტიკის საშუალებას მისცემს.

ვფიქრობ, რომ ის სტუდენტი, რომელიც ავტორიტეტის მორჩილი არ ხდება და მასში დაინახავს იმას, რისი გაკრიტიკებაც შეიძლება, ნიჭიერია და მიყვარს.

— ნიჭიერი და ზარმაცი სტუდენტი არ გიყვართ?

— ნიჭიერი და ზარმაცი სტუდენტი ხშირად მინახავს და ვიცი, რომ სიზარმაცე ნიჭიერებას კლავს. ძირითადად, ნიჭიერი და შრომისმოყვარე სტუდენტები მყავდა და ყველამ გაამართლა.

— რომელიმე მოსწავლით განსაკუთრებით ხომ არ ამაყობთ?

— ძალიან ბევრი საამაყო მოსწავლე მყავს, მაგრამ მათ შორისაც არიან გამორჩეულები: მაგალითად, ნანა ტონიამ, როგორც კარგმა მთარგმნელმა, უკვე დაიმკვიდრა ადგილი საზოგადოებაში; მისი თაობაა ასევე მშვენიერი მეცნიერი მანანა ფხაკაძე; აშკარად გამიმართლა ირინე დარჩიამ, რომელიც ნიჭიერებასთან ერთად, კარგი მეცნიერი და ორგანიზატორიც აღმოჩნდა. მიხარია, რომ გვყავს ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც დღეს ოქსფორდში ამთავრებენ დოქტორანტურას, ასეთია ნიკოლოზ ალექსიძე...

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ჩემი მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნეოგრეცისტიკის სკოლის შექმნას დაუკავშირდა და ნეოგრაცისტთა შორის გამორჩეულია სოფიო შამანიდი, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი იყო უნივერსიტეტში. ჩემს მოსწავლედ ვთვლი ასევე თინათინ დოლიძეს.

გარდა ამისა, დღეს ჩვენს გვერდით მოღვაწეობენ ახალგაზრდა და პერსპექტიული მეცნიერები – რუსუდან ცანავა, ეკატერინე კობახიძე და კიდევ ბევრი...

მართალი გითხრათ, ასაკს მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, როდესაც ჩვენს ღონისძიებებზე შევდივარ და გადავხედავ დარბაზს, რომელიც თითქმის მთლიანად ჩვენი სტუდენტებითა და კურსდამთავრებულებით ივსება ხოლმე. წარმოიდგინეთ, უკვე რამდენი ვართ... რამდენი გამიზრდია...

— კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ყველა თანამშრომელი თქვენი ყოფილი სტუდენტია. როგორ მიაღწიეთ იმას, რომ მათაც ისე შეყვარებოდათ ეს საქმე, როგორც თქვენ?

— ამას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს — ინსტიტუტში აუცილებელია, რომ თითოეულ თანამშრომელს ჰქონდეს ისეთი საქმე, რაც მას სხვებთან გააერთიანებს. სამეცნიერო ინსტიტუტში ჟანგი არავის უნდა მოეკიდოს, ყველა საქმეში უნდა იყოს ჩართული. სწორედ მათი მუშაობის შედეგია, რომ შარშან, ინსტიტუტის დღეს, ინსტიტუტის თანამშრომლებმა უზარმაზარი ლექსიკონი წარმოადგინეს. წელსაც დიდ საქმეს მოვკიდეთ ხელი – უნდა გამოვცეთ ენციკლოპედია „ანტიკური კავკასია“. ჯერჯერობით პირველი ტომი გამოდის და ამ ტომის, და მთლიანად ენციკლოპედიის, შედგენაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ჩემმა ახალგაზრდა კოლეგებმა. მათ უდიდესი შრომა გასწიეს, შედეგის მისაღწევად ღამეებს ათენებდნენ და საერთო საქმემ განაპირობა ის, რომ ერთმანეთის მიმართ მეგობრულ-კოლეგიალური დამოკიდებულება აქვთ. უკვე შემიძლია, რომ მათ მეცნიერებაში სერიოზული ამოცანების გადაჭრა ვანდო.

და კიდევ, რაც მთავარია — ხელმძღვანელისგან არავინ უნდა გრძნობდეს, რომ მას ინტრიგები და ჭორებისთვის ყურის გდება მოსწონს... მხოლოდ საქმე და პიროვნული კეთილგანწყობა იძლევა იმ შედეგს, რაც ამ ინსტიტუტის თანამშრომლების ძალისხმევით სრულდება.

— რა ნიშნავს თქვენთვის უნივერსიტეტი?

— ძალზე მოკრძალებული ვიქნები თუ ვიტყვი, რომ უნივერსიტეტი ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მისი ყველა წარმატება მიხარია და ყველა გამკილავი სტატია ტკივილს მაყენებს. ვფიქრობ, რომ ობიექტურმა და სუბიექტურმა გარემოებებმა დღეს უნივერსიტეტის იდეის ნიველირების ატმოსფერო შექმნა და პრაქტიკულად ის მოწიწება, რასაც უნივერსიტეტის ხსენება ჩემს ახალგაზრდობაში იწვევდა, გაქრა.

ჩემი აზრით, საქართველოში უნივერსიტეტების სიმრავლე უნივერსიტეტის იდეის დაკნინებას განაპირობებს. ეს თუ არ გამოსწორდა, ჩავთვალოთ, რომ ქართული უმაღლესი განათლება ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. არ კმარა მარტო ის, რომ მისაღები გამოცდების სისტემა გაუმჯობესდა და რეფორმებმა სასწავლო სისტემა გარკვეულად მოაწესრიგა. მინდა დავსვა კითხვა – არის დღეს ისეთი პირობები, რომ ჩვენთან სერიოზული მეცნიერი გაიზარდოს? დღეს ისეთი სისტემაა შექმნილი, რომ მეცნიერს სტაბილურობის შეგრძნება არ აქვს. ყოველ სამ წელიწადში კონკურსი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი სამი წლის იქით უნივერსიტეტში საქმიანობას აღარ გეგმავს. ამიტომ, ვფიქრობ, მდგომარეობის გამოსასწორებლად სერიოზული ფიქრია საჭირო.

პროფესორ რისმაგ გორდეზიანის ოჯახში ყველა მეცნიერია. ხუმრობა არ გახლავთ ერთ ოჯახში რამდენიმე აკადემიკოსი, პროფესორი და მომავალი მეცნიერი...

თავად აღნიშნავს, რომ ოჯახი მისი სიამაყეა. მეუღლე, ქალბატონი ლია ჯინორია დიდი სიმონ ყაუხჩიშვილის შვილიშვილი, აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილისა და პროფესორ ოთარ ჯინორიას შვილია. წლების განმავლობაში ისიც ახალგაზრდების აღზრდის საქმეს ემსახურება, მაგრამ როგორც ბატონი რისმაგი აღნიშნავს, ქალბატონი ლიას ყველაზე დიდი საქმე ოჯახის წევრებისთვის კომფორტული სამეცნიერო გარემოს შექმნა იყო და დღემდე მთელი ოჯახის სიმძიმეს ეზიდება.

ასეთ ოჯახში შვილიც კარგი იზრდება და შვილიშვილიც. ბატონი ლევან გორდეზიანი უნივერსიტეტშიც უყვართ, ხოლო შვილიშვილი – ლია გორდეზიანი ბაბუას სიამაყეა – მან წარმატებით დაასრულა საფრანგეთის ტულუზის უნივერსიტეტის ბაკალავრიატი და მათივე მიწვევით სექტემბრიდან მაგისტრატურაში განაგრძობს სწავლას. ოჯახში უხარიათ, რომ ლიამ ბაბუის პროფესია აირჩია: „ჩემს ბიბლიოთეკას რომ გადავხედავ, მიხარია — ჩემს შემდეგ მას ჩემი შვილიშვილი გამოიყენებს“, — გვითხრა ბატონმა რისმაგმა.

ცხოვრების დიდი ნაწილის გავლის შემდეგ ადამიანი აფასებს, როგორ იცხოვრა. თუ მას წარსულში არაფრის შეცვლა არ სურს, ესე იგი გზა სწორად გაუვლია. ბატონმა რისმაგმა მხოლოდ ორი რამის შეცვლა ისურვა — დრო რომ დაბრუნდებოდეს, კიდევ გავაჩენდი შვილებს და... აუცილებლად ვისწავლიდი რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრასო...

„სათნოებით გამორჩეულნი...“

იგი დინჯი ნაბიჯით და მისთვის უჩვეულო სიდარბაისლით მიუყვება ხოლმე ყოველ დილით გზას ინსტიტუტისაკენ, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლა უკვე „უძველესია“ და სანიმუშო. ინსტიტუტის დაარსებას კი წინ მრავალნაფიქრი წლები უძღოდა... ხოლო ეს წლები სავსე იყო ახალგაზრდული ენერგიით, მეცნიერული მიგნებებით, წარმატებებით, გამუდმებული ძიებით და, რაც მთავარია, უანგარო ზრუნვით იმ ადამიანებზე, რომლებიც მის გარშემო იკრიბებოდნენ. თავად ვარ მომსწრე იმისა, თუ როგორ აღიარებდნენ მას ლიდერად იმხანად საქართველოში არსებული სამეცნიერო სკოლების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები. სხვაგვარად არც შეიძლებოდა: დიდი ინტელექტის, შინაგანი კეთილშობილებისა და საოცარი მაორგანიზებელი ძალის მქონე ბატონი რისმაგი ყველა კონფერენციისა თუ სიმპოზიუმის უცვლელი მონაწილე იყო. ახალგაზრდული წლებიდან მოყოლებული იგი თითქოს გულმოდგინედ იცავს მარკუს ავრელიუსის „ფიქრებში“ ამოკითხულ შთაგონებას: „დაუცადებლად იზრუნე იმისთვის, რომ ის, რასაც დღეს აკეთებ, აკეთო ისე, როგორც შეჰფერის რომაელს და მამრს — ჭეშმარიტი სიდინჯით და სიდარბაისლით, კაცთა მიმართ სიყვარულით, სრული თავისუფლებითა და სიმართლით; ხოლო განირიდე ყველა სხვა საზრუნავი. შენ შეძლებ ამას, თუ ყოველ საქმეს აღასრულებ, როგორც უკანასკნელს შენს სიცოცხლეში: ყოველგვარი სიშლეგის, აზრის საუფლოს წინაშე ვნებისეული ძრწოლის, პირმოთნეობის, თავმოყვარეობისა და ბედის მომდურაობისაგან თავდახსნილი და თავისუფალი“ (II, 5. თარგმ. ბაჩანა ბრეგვაძის).

დიახ, ბატონი რისმაგი ყოველ საქმეს, რასაც კი მისი „აზრის საუფლოში დაუვანია“, აღასრულებდა, როგორც უკანასკნელს მის სიცოცხლეში — თავდავიწყებით, ერთგულებითა და „ბედის მომდურაობისაგან თავდახსნილი და თავისუფალი“. სწორედ აზრის ეს თავისუფლება განაპირობებს მის შემართებას, იმას, რომ დღესაც იგი ბევრ ახალგაზრდაზე უფრო მეტად ახალგაზრდაა, რადგანაც ერთგულია თავისი სახელოვანი ოჯახისა, რადგანაც უყვარს თავისი საქმე, უყვარს თავისი მოწაფეები, რომლებთან ურთიერთობაც მას ახალი ძალითა და ენერგიით ავსებს.

ვფიქრობ, ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც მისმა მასწავლებელმა, გასაოცარმა ადამიანმა, პროფესორმა პანტელეიმონ ბერაძემ იგი პირველად წარადგინა აუდიტორიის წინაშე. როგორც თავადაც გვიამბობს მაშინ ბატონი პანტელეიმონი აუდიტორიის წინ იდგა, I კორპუსის ფართო და ნათელ დერეფანში და გამვლელებს მოუწოდებდა: „ჩუმად იყავით, აქ ახალგაზრდა კაცი ატარებსო პირველ ლექციას“. სტუდენტები კი გარინდებულნი ისმენდნენ სულის შემძვრელ ამბებს ხმელთაშუა ზღვის უძველეს კულტურებზე, წინაბერძნული და ქართველური ტომების ურთიერთობებზე, მედიტერანულ-ქართველურ ენობრივ პარალელებზე, ეთნო-ლინგვისტურ პროცესებზე, არგონავტების მოგზაურობასა თუ შლიმანის გასაოცარ ინტუიციაზე...

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ახლა თავად ბატონი რისმაგის მადლიერნი არიან მისი მოწაფეები (რომელთა რიცხვიც უთვლელია) იმ ზრუნვისა და სითბოს გამო, რაც მისგან მოდის მუდამ, უანგაროდ და უშურველად. ბევრჯერ მსმენია ბატონი რისმაგისგან, თუ რაოდენ ბედნიერად გრძნობს თავს მაშინ, როდესაც სიყვარულითა და მადლიერებით სავსე თვალებს ჭვრეტს მის გარშემო.

ის ყველას უყვარს, ვისაც კი მასთან უსაუბრია. ეს, ალბათ, განსაკუთრებული ნიჭია, რომელსაც სხივს ჰმატებს მისი კეთილშობილება და პროფესიონალიზმი. მრავალი კონფერენციის მოთავეს მრავალი სახელოვანი სტუმარი მიუღია უნივერსიტეტის ნათელ კედლებში. თანამემამულე თუ უცხოელი მეცნიერები მის გარშემო იკრიბებიან, მასთან ერთად ბჭობენ სამეცნიერო თუ მოქალაქეობრივი პრინციპების პრობლემატურ საკითხებზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კი ბატონი რისმაგის ცხოვრება 1958 წლიდან დაუკავშირდა — კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე დაიცვა მან დისერტაცია („ხომალდთა კატალოგი „ილიადაში“ 1967 წ.), რომელიც უფრო სრულყოფილი ფორმით 1970 წელს გამოიცა სახელწოდებით „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები“. მასში ახალგაზრდა ავტორმა თავისი კვლევის მიმართულებად ფილოლოგიური, ისტორიულ-არქეოლოგიური და ეთნოლინგვისტური ხასიათის ის პრობლემები დაისახა, რომლებიც ჰომეროსის „ილიადას“ უკავშირდებოდა. წიგნში განხილული იყო „ილიადის“ და მასშივე წარმოდგენილი „ხომალდთა კატალოგის“ ურთიერთმიმართების საკითხები, — ხაზოვანთან დაკავშირებული პრობლემები, ძველაღმოსავლური დოკუმენტები, ეგეოსური მოსახლეობისა და ეგეოსურ-ქართველური ენობრივი პარალელები.

1974 წელს ბატონი რისმაგი იცავს სადოქტორო დისერტაციას „ჰომეროსის ეპოსის ფორმირებისა და ერთიანობის“ საკითხზე, რომელიც 1975 წელს გამოდის სახელწოდებით "Проблемы гомеровского эпоса" წიგნში ენციკლოპედიური სრულყოფილებით არის განხილული ჰომეროსის პოემათა ერთიანობის საკითხი, მათში წარმოდგენილ ცნობათა მიმართებები გვიანბრინჯაოს ხანის ეგეიდის ქვეყნებთან. 70-იანი წლები ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში სტრუქტურალისტური ხასიათის ძიებებით აღინიშნება. შესაბამისად, ევროპულ კვლევათა ავანგარდში მდგომმა ახალგაზრდა მკვლევარმა სცადა ამ მიმდინარეობის დოქტრინათა გათვალისწინებით გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა ჰომეროსის პოემათა ერთიანობის

კვლევაში. წიგნმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჰომეროლოგიური პრობლემებით დაინტერესებულ მეცნიერებაში. საკმარისია დავასახელო ისეთი ავტორიტეტი, როგორიც არის ა. ფ. ლოსევი, რომელმაც ამ ნაშრომის წაკითხვის შემდეგ აღნიშნა: *„დღემდე საბჭოთა ჰომეროლოგიაში ძირითად შრომად ითვლებოდა ჩემი წიგნი, ამიერიდან უნდა ჩაითვალოს რისმაგ გორდეზიანის ნაშრომი“.*

თავისი მეცნიერული მოღვაწეობის საწყის ხანაშივე დაინტერესდა ბატონი რისმაგი მედიტერანულ-კავკასიური კავშირების კვლევით. როგორც ცნობილია, ამ პრობლემატიკას საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ა. ჩიქობავა. მათი აზრით, ქართველური, მეტადრე კი კავკასიური მასალის გათვალისწინება აუცილებელი უნდა ყოფილიყო ხმელთაშუა ზღვის ისეთ ცივილიზაციათა შესწავლისათვის, რომელნიც მრავალ საიდუმლოს ინახავენ. და აი, 70-იან წლებში ბატონმა რისმაგმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა ქართველურ-ეგეოსურ და ქართველურ-ეტრუსკულ ენობრივ პარალელებზე. 1975 წელს გამოდის ერთ-ერთი საეტაპო წიგნი ამ თვალსაზრისით (Р. В. Гордезиани. Кавказ и проблемы древнейших средиземноморских языковых и культурных взаимоотношений, Тбилиси, 1975), სადაც მოცემულია ცდა ამ ენობრივი პარალელების დაკავშირებაზე ხალხთა მიგრაციების სხვადასხვა ტალღებთან ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანაში, განსაკუთრებით კი კავკასიურ ტომთა მძლავრ გადასახლებებთან ეგეიდასა და დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში ადრე ბრინჯაოს ხანის დასაწყისში.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამ წიგნმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ევროპულ მეცნიერებაში, რაც აისახა კიდეც წინაბერძნული ენების ცნობილი მკვლევარის ე. ფურნეეს ნაშრომებში. გამოითქვა მოსაზრებები ეტრუსკული ზმნის სტრუქტურის ქართველურთან მიმართებასა (ა. მ. ჯ. გარბინი) და ქართველურისა და ეტრუსკულის გენეტიკურ ნათესაობაზეც კი (ე. შტრანდი).

1980 წელს ამავე პრობლემას მიეძღვნა ბატონი რისმაგის წიგნი სახელწოდებით „ეტრუსკული და ქართველური“, სადაც შეპირისპირებულია ეტრუსკული და ქართველური ენობრივი მასალა, წარმოდგენილია ეტრუსკულში ქართველური ელემენტების გამოყოფისა და მათთვის ისტორიულ-არქეოლოგიური საფუძვლის მონახვის ცდა. ამ შემთხვევაში ავტორი გვთავაზობს ერთობ მნიშვნელოვან და მოგვიანებით უკვე მრავალი მკვლევარის მიერ გათვალისწინებულ დასკვნას: „კვლევის თანამედროვე დონეზე სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ქართველური კომპონენტი ერთ-ერთი არსებითი უნდა ყოფილიყო ძვ.წ.ა. II ათასწლეულის ეგეოსური, დასავლეთმედიტერანული და ცალკეული კულტურისა და ენის ჩამოყალიბების პროცესში, რომ კავკასიურ-მედიტერაული მიმართებების საკმაოდ დიდი ნაწილი სავარაუდო ოდინდელი ნათესაობის დონემდე კი არ აიყვანება, არამედ ძვ.წ.ა. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე დაწყებული კავკასიური მიგრაციებით უნდა აიხსნას“ (გვ. 64).

1985 წელს ბატონი რისმაგი აქვეყნებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს სახელწოდებით „წინაბერძნული და ქართველური“, სადაც განხილულია ის ენობრივი პარალელები, რომლებიც ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანის ხალხთა მიგრაციების სხვადასხვა ტალღასთან იყო დაკავშირებული. წინაბერძნულში ავტორი ყურადღებას ამახვილებს ეწ. ქართველურ კომპონენტზე: ქართველური სტრუქტურის იმ ტერმინებზე, ტოპონიმებსა და აფიქსებზე, რაც ეგეიდაში ძვ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე ქართველურ ტომთა რაღაც ნაწილის გადასახლების შედეგი უნდა ყოფილიყო. ამ უაღრესად შრომატევადი წიგნის ბოლოსიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს: „ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ამიერკავკასია ნეოლითსა და ბრინჯაოს ხანაში ორგანულად იყო დაკავშირებული იმ ეთნიკურსა და კულტურულ პროცესებთან, რომლებიც ძველ სამყაროში მიმდინარეობდა. ეს კავშირი არ ყოფილა ცალმხრივი, ანუ ამიერკავკასია ყოველთვის პერიფერიულ ძირითად კულტურულ იმპულსთა მიმღებ რეგიონს როდი წარმოადგენდა. პირიქით, არც თუ იშვიათად, თვით იგი იყო ამ იმპულსთა წყარო, ხმელთაშუა ზღვის ცალკეულ რეგიონებში ახალ კულტურათა თუ ტომთა ფორმირების მიზეზი“ (გვ. 170). წიგნს თან ერთვის საკმაოდ ვრცელი რეზიუმეები რუსულსა და გერმანულ ენებზე. მას მრავალი მეცნიერი გაეცნო, რასაც შედეგად მოჰყვა მხარდამჭერი გამოხმაურებები. სახელოვანი ენათმეცნიერი ე. ფურნეე წერდა: *„ეს გამოკვლევა უაღრესად საინტერესო ნაშრომია, რომელიც ჩემი წიგნისაგან განსხვავებით, წინაისტორიულ-არქეოლოგიური არგუმენტებით განიხილავს ლექსიკურ მიმართებებს. ისევე როგორც მე, რისმაგ გორდეზიანიც განასხვავებს ჩვენთვის საინტერესო არეალში — სამხრეთ კავკასიასა და ეგეიდაში — ორ ენობრივ შრეს“* (პალეოქართველურ-პელასგური გავლენები ინდოგერმანულ ენებში, Leiden 1986, გვ. 220). ე. ფურნეეს აღიარებით, ქართველი მკვლევარის ნაშრომები წინაბერძნულ-ქართველური ენობრივი პარალელების სფეროში ერთგვარ სტიმულად იქცა.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე, მართალია, ბატონ რისმაგს ერთი-ორი სტატიის გარდა აღნიშნულ პრობლემატიკაზე არაფერი გამოუქვეყნებია, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი ფიქრი ამ მიმართებით არ შენელებულა, რადგან 2007 წელს მან გამოსცა კიდევ ერთი საეტაპო ნაშრომი „მედიტერანულ-ქართველური მიმართებები“ ოთხ წიგნად. პირველი წიგნი სახელწოდებით „საწყისები“ ეთმობა ქართველურის შუმერულთან, ხათურთან, საერთოინდოევროპულთან მიმართებას, მეორე წიგნში განხილულია ქართველურის წინაბერძნულთან და მინოსურთან მიმართების საკითხები, მესამე წიგნი ქართველურის ეტრუსკულთან კავშირს ეძღვნება, ხოლო მეოთხე წიგნში წარმოდგენილია საძიებლები და დამატებანი.

უნდა ითქვას, რომ ეს ოთხტომეული წარმოადგენს ფუნდამენტურ გამოკვლევას, რომელიც ეფუძნება უკანასკნელ წლებში დაგროვილ დიდძალ ახალ მასალას, რამეთუ საკმაოდ მნიშვნელოვანი სიახლეებით გამდიდრდა არა მხოლოდ ეგეისტიკა და ეტრუსკოლოგია, არამედ ქართველოლოგიაც. შეიქმნა ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონები (ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის, რომლის ბოლო, შესწორებული რედაქცია 2000 წელს გამოქვეყნდა); ცალკეული ქართველური ენისა და დიალექტის ლექსიკონები; გამოქვეყნდა მრავალი ნაშრომი ქართველური ლექსიკოგრაფიისა და, ზოგადად, ენთამეცნიერების სფეროში. ყოველივე ამისა და მრავალი სხვა უახლესი ევროპული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით დაწერილი ეს მონოგრაფია, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, ენციკლოპედიურ ხასიათსაც ატარებს, უკვე იქცა ამ საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერთა სამაგიდო წიგნად.

ბატონი რისმაგის „აზრთა საუფლო“ მხოლოდ მედიტერანულ-ქართველური მიმართებებით არ შემოფარგლულა. კერძოდ, მან ფართო მკითხველისათვის ჩაიფიქრა ნაშრომთა სერია განმაზოგადებელი სახელწოდებით: „ანტიკური სამყაროს კულტურები“.

1988 წელს გამოიცა ამ სერიის პირველი წიგნის პირველი ნაკვეთი „ბერძნული ცივილიზაცია“. მასში წარმოდგენილია ელადური კულტურის ისტორია გმირთა ეპოქიდან არქაიკამდე. 1997 წელს მკითხველმა მიიღო პირველი წიგნის მეორე ნაკვეთი, რომელიც ერთიანად ეთმობოდა კლასიკურ ეპოქას.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ბერძნული კულტურის შესახებ პოპულარული წიგნის დაწერა ერთობ რთულია, რამეთუ არსებობს ზღვა მასალა, რომლის გაუთვალისწინებლობაც ჭეშმარიტი პროფესიონალისთვის შეუძლებელია. ბატონმა რისმაგმა მისთვის ჩვეული მეცნიერული და ბელეტრისტული ალღოთი შექმნა უაღრესად საინტერესო ნაშრომი, რომელსაც დიდი გატაცებით ეცნობიან პროფესიონალებიცა და ზოგადი განათლების მიღების მსურველები. ამ წიგნებში ელადური კულტურის ისტორია განხილულია სინთეზურად: ისტორიული, პოლიტიკურ-ეკონომიკური, რელიგიური და სხვა პროცესების ფორმირებისა და განვითარების ფონზე. უახლესი არქეოლოგიური გათხრებისა და გამოკვლევების გათვალისწინებით მოთხრობილია ბერძნული ცივილიზაციის უმთავრესი სიმაღლეებისა და წარმომადგენლების (სტრატეგოსების, მწერლების, მოქანდაკეების, მხატვრებისა და ა.შ.) ფასდაუდებელ მნიშვნელობასა და ღვაწლზე.

ქართველი მკითხველი მოუთმენლად ელის „ბერძნული ცივილიზაციის“ დანარჩენი წიგნების („კლასიკური ეპოქიდან გვიანანტიკურობამდე“, „ეტრუსკული კულტურა“, „რომაული ცივილიზაცია“, „ესპანეთიდან კავკასიამდე, ანტიკური სამყაროს განაპირა კულტურები“) გამოქვეყნებას. 1993 წელს გამოვიდა ბატონი რისმაგის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონოგრაფია „ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა“, რომლის თემატიკაც აშკარად ეხმაურებოდა საქართველოში 90-იან წლებში დატრიალებულ ძნელბედით ამბებს. ქართული ფენომენის თვითშეგნების პრობლემა არის ის სფერო, რომელზეც დღესაც ფიქრობს ბატონი რისმაგი და მასზე მსჯელობას, ალბათ, იმ წიგნის ფურცლებზე გადაიტანს, რომლის გამოცემაც ჩაფიქრებული აქვს ფილოსოფიური სახელწოდებით „იმპერიათა ბედი“. ჩვენ ამ მონოგრაფიის გამოქვეყნებასაც დიდი მოთმინებით ველით.

მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ერი ცდილობს საგანგებო ყურადღება დაუთმოს ანტიკური კულტურის შესწავლას. განათლებულ საზოგადოებებში მოზარდები ადრეული ასაკიდან ეუფლებიან კლასიკური ენებისა და ლიტერატურის საფუძვლებს, მითოლოგიას ძველი ბერძნული ლიტერატურის არაერთი სახელმძღვანელო გამოდის მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. ქართულად სახელმძღვანელოთა გამოცემა გრიგოლ წერეთლისა და სიმონ ყაუხჩიშვილის სახელებს უკავშირდება. დრომ მოითხოვა განახლებული სახელმძღვანელოს გამოცემა. და აი, 2002 წელს ბატონმა რისმაგმა უახლესი ლიტერატურის გათვალისწინებით ქართველ მკითხველს კიდევ ერთი საინტერესო და მაღალი პროფესიონალიზმით დაწერილი წიგნი აჩუქა — „ბერძნული ლიტერატურა“. ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც საკუთარ

მე-7 გვერდზე

„სათნოებით გამორჩეულნი...“

მე-6 გვერდიდან

თავს თანამედროვე ევროპული კულტურის ინტერიერში წარმოიდგენს, განსაკუთრებული ინტერესით მიიღო ეს წიგნი, რომელიც ჩაფიქრებული სამტომეულის მხოლოდ პირველი ნაწილია. იგი მოიცავს ელინური პერიოდის ეპოსს, ლირიკასა და დრამას. მეორე წიგნში წარმოდგენილი იქნება ელინური ეპოქის ფილოსოფია, მჭევრმეტყველება, მხატვრული პროზა და კლასიკურის შემდგომი პერიოდის ბერძნული ლიტერატურა; მესამეში — რომაული ლიტერატურა. უნდა აღინიშნოს, რომ „ბერძნული ლიტერატურის“ მთელი ტირაჟი უმალ გაქრა დახლებიდან. მას დიდი რუდუნებით დაეძებდა სტუდენტი-ახალგაზრდობა და აი, 2009 წელს ბატონმა რისმაგმა გაიმეორა ეს გამოცემა, თუმცა იგი საგრძნობლად შეავსო და გაამდიდრა უახლესი გამოკვლევების გათვალისწინებით. წიგნის ავტორის უდიდესი ღირსება არის ის, და ამაში მისი ყოველი კოლეგა დამეთანხმება, რომ იგი გამუდმებით იღვწის უახლეს ნაშრომთა მოსაპოვებლად და ფლობს იმ ცოდნას, რაც დომინირებს კლასიკურ ფილოლოგიაში კვლევის თანამედროვე ეტაპზე. მოარულ გამოთქმად დარჩა ჩვენს წრეში ერთი ენამახვილი მეგობრის ნათქვამი: „ბატონმა რისმაგმა ისიც იცის, რა ეწერება ჯერ არდაბეჭდილ წიგნებშიო“. ანტიკური სამყაროს სიღრმისეული ცოდნით, მისი დიდებულების გააზრებისა და შეგრძნების ნიშნით აღბეჭდილი ამ ვრცელი წიგნის უდიდეს ღირსებად სხვა ღირსებათა შორის მივიჩნევ იმას, რომ იგი ფიქრის სურვილს აღძრავს. მისი მკითხველი იმდენად ღრმა და მრავალმნიშვნელოვან ინფორმაციას იღებს ძველ სამყაროში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე, რომ თავადაც ექცევა კითხვით მიღებული განცდების ტყვეობაში, რაც თავისთავად კათარზისის ტოლფასია. კიდევ მრავალი წელი ჩაივლის, ხოლო ეს გამოცემა დიდხანს დარჩება ქართული განათლებული საზოგადოების სამაგიდო წიგნად („Habent sua fata libelli“).

აქვე მსურს ყურადღება გავამახვილო ბატონი რისმაგის ხასიათის ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებაზე: მხოლოდ დიდბუნებოვანი ადამიანებისათვის დამახასიათებელი კეთილშობილებით უფრთხილდება იგი ახალგაზრდებთან ურთიერთობას, საოცარი გულმოდგინებით ზრუნავს მათ პროფესიონალიზმსა და ავტორიტეტზე. მისი სახლის კარი მუდამ ღიაა ყოველი სტუდენტისათვის, ვისაც მისი მდიდარი ოჯახური ბიბლიოთეკით სარგებლობის სურვილი აქვს, ვისაც მისი დახმარება სჭირდება. მნიშვნელოვანია მისი წვლილი ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მრავალმა მისმა მოწაფემ დაიცვა დისერტაცია. დღეს ისინი წარმატებით მოღვაწეობენ თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა თუ სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებებში. და კიდევ ერთი: ბატონმა რისმაგმა თავის მოწაფეებთან ერთად რამდენიმე წიგნი გამოაქვეყნა („ძველი ბერძნული და თანამედროვე ბერძნული“ სოფიო შამანიდსა და ირინე დარჩიას თანაავტორობით (2001 წ.); „კლასიკური ფილოლოგიის შესავალი“ მაია დანელიას თანაავტორობით (2004 წ.) და სხვა). იგი დიდი გულისხმიერებით უწყობს ხელს ყოველი იმ ახალი იდეის განხორციელებას, რასაც მოწაფეები შესთავაზებენ. ასე გამოიცა მისი რედაქციით სახელმძღვანელო ანტიკურ ლიტერატურაში (2005 წ.), რომელსაც რამდენიმე თანაავტორი ჰყავს.

როგორ ასრულდა წინანდლის ბაღში ნაოცნებარი

ბატონი რისმაგი ოცდახუთი წიგნისა და ასორმოცდაათამდე სტატიის ავტორია. შევეცადე ყურადღება გამემახვილებინა, ჩემი აზრით, საეტაპო ნაშრომებზე. ახლა კი მოკლედ მოგითხრობთ იმ ინსტიტუტის თაობაზე, რომლის შექმნის იდეაც მას ძალიან დიდი ხნის წინ წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ბაღში, ერთ სახელოვან მეცნიერთან ერთად სეირნობისას გაუჩნდა. ამ საუბარს მეც ვესწრებოდი. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა და ბატონმა რისმაგმა შეძლო სამოქალაქო ომგადახდილ თბილისში აღესრულებინა წინანდლის მშვენიერ ბაღში ნაოცნებარი: 1997 წლის მარტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ბაზაზე შეიქმნა „კლასიკური ფილოლოგიისა, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის“ ინსტიტუტი რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის მოწადინებით, რაც ბრძანებით გაფორმდა კიდეც. მისი ორგანიზაციისა და მუშაობის საქმეში უნივერსიტეტს დახმარება გაუწია საბერძნეთის საელჩომ საქართველოში, საბერძნეთის კულტურის სამინისტრომ, ბერძნული კულტურის ფონდმა, ალექსანდროს ონასისის საქველმოქმედო ფონდმა, ი. ფ. კოსტოპულოსის ფონდმა. ინსტიტუტი ეწევა როგორც პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო-კვლევით, მთარგმნელობით და საგამომცემლო საქმიანობას, 1999 წელს დაფუძნდა ინსტიტუტის განვითარების ფონდი, რომელიც მიზნად ისახავს თანხების მოზიდვას ინსტიტუტის მხარდაჭერისა და სტიმულირებისათვის. ინსტიტუტს მჭიდრო კონტაქტები აქვს საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრთან.

თავისი არსებობის 13 წლის მანძილზე ინსტიტუტში ბატონი რისმაგის უშუალო ხელშეწყობით მრავალი პროექტი განხორციელდა. მათ შორის უკვე დასრულებულია „ბერძნული მითების სამყარო“ (ათ წიგნად). ამ პროექტის სამი წიგნის ავტორი თავად ბატონი რისმაგია. პირველი წიგნი „ქაოსიდან კოსმოსამდე“ ძველი ბერძნული მითოსის საწყის ეტაპებს ეხება: ბატონი რისმაგის ავტორობით დაწერილი მეორე წიგნი არგონავტების მოგზაურობაზე მოგვითხრობს და მასში სრულყოფილად არის წარმოდგენილი „არგონავტიკის“ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები. შეიძლება ითქვას, რომ ავტორი გასცდა იმ სამანებს, რასაც სერია ისახავდა მიზნად (იგი განკუთვნილია ფართო საზოგადოებისათვის და საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ საჯარო სკოლებისათვის) და აიაკოლხეთთან დაკავშირებული პრობლემების თითქმის სრული ანალიზი და საკუთარი დაკვირვებები შესთავაზა დაინტერესებულ მკითხველს (აქ უნდა აღვნიშნო, რომ არგონავტიკის პრობლემებით დაინტერესება ბატონმა რისმაგმა ახალგაზრდული წლებიდან დაიწყო, რასაც მიეძღვნა კიდეც მის მიერ სხვადასხვა სამამულო თუ უცხოურ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები). რაც შეეხება სერიის ბოლო, დამაგვირგვინებელ წიგნს, რომლის სათაურია: „მითების სიბრძნე“ და რომლის ავტორობაც მხოლოდ ბატონ რისმაგს ხელეწიფებოდა, პოპულარული ენით მოგვითხრობს მითის მეცნიერული შესწავლის ისტორიას; გვამცნობს ამ საკიხთან დაკავშირებულ უმთავრეს თანამედროვე თეორიებს, ხმელთაშუაზღვისპირეთის მითოსის სამყაროს; იგი ვრცლად მსჯელობს მითის, კულტისა და რელიგიის საკითხებზე, ბერძნული მითოსის წვლილზე მსოფლიო კულტურის განვითარებაში. თუმცა, როგორც თავადაც აღნიშნავს: „ავტორი, მეტწილად, ცდილობს უკვე გამოთქმული მოსაზრებებისა და თეორიების მიმოხილვას და არა საკუთარი თეორიებისა თუ ვარაუდების წამოყენებას. ამიტომ მკითხველს ვთხოვ, წიგნი განიხილოს არა ავტორის ორიგინალურ ნაშრომად, არამედ მხოლოდ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებების პოპულარულად სისტემატიზაციისა და გადმოცემის ცდად“ (გვ. 7). ამ კეთილშობილური რიდით ნათქვამს მხოლოდ იმას დავსძენდი, რომ იდუმალებით მოცული მითოსის პრობლემებზე მსჯელობისას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებების სისტემატიზაციაც აუცილებელია დაინტერესებული მკითხველისათვის. ეს აუცილებლობა კი „მითების სიბრძნეს“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს.

კიდევ ერთი პროექტი, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბატონი რისმაგი და რომლის პირველი ტომიც საგანგებოდ გამოიცა იუბილეთა დღისათვის, არის ენციკლოპედია სახელწოდებით Caucasus Antiquus. კლასიკური ფილოლოგიისა და კავკასიოლოგიის ისტორიაში პირველად განხორციელდება ისეთი ენციკლოპედიის გამოცემა, რომელშიც სრულად იქნება თავმოყრილი ინფორმაცია ანტიკური ეპოქის კავკასიის შესახებ. პროექტზე მუშაობა დასასრულს უახლოვდება და სულ მალე ქართველ მკითხველს საშუალება ექნება მოიძიოს ძველაღმოსავლურსა და ანტიკურ წყაროებში დადასტურებული და კავკასიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტერმინი ორიგინალის კონტექსტითა და შესაბამისი ქართულენოვანი თარგმანით. პროექტზე მეცნიერ-სპეციალისტთა ჯგუფი მუშაობს, ბუნებრივია, რისმაგ გორდეზიანის ძალისხმევითა და ხელმძღვანელობით.

საოცარია, როგორ ასწრებს, მაგრამ ფაქტია, რომ მისივე ხელმძღვანელობით კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტზე მუშაობენ ინსტიტუტის თანამშრომლები. მათ შორის გამოვყოფდი „ჰომეროსის ენციკლოპედიასა“ და „ძველბერძნულ-ქართულ და ლათინურ-ქართულ მულტიფუნქციურ ლექსიკონებს“.

ბატონი რისმაგის რედაქტორობითა და უშუალო მონაწილეობით გამოიცა მრავალი სახელმძღვანელო. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია“ (სამ ტომად), სადაც თავმოყრილია ძველბერძნულ და ლათინურენოვან ავტორთა საუკეთესო ქართული თარგმანები.

„ოაზისი"

თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით ბატონი რისმაგი ღირსეულად აგრძელებს იმ გზას, რომელიც ესოდენი რუდუნებითა და საქმისადმი თავდადებით გაკაფეს სახელოვანმა კორიფეებმა: გრ. წერეთელმა, ს. ყაუხჩიშვილმა, პ. ბერაძემ, აკ. ურუშაძემ. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ რ. მიმინოშვილის, ირ. შენგელიასა და ალ. ალექსიძის სახელები. ჩვენ, ახალგაზრდა თაობას, ბატონი რისმაგი, როგორც ჭეშმარიტი პედაგოგი, მათი ღვაწლის დაფასებას შთაგვაგონებდა. სწორედ მათი ხსოვნის პატივსადებად ჩვენს ინსტიტუტში ყოველწლიურად ტარდება სესიები და სიმპოზიუმები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბატონი რისმაგი საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების უცვლელი ორგანიზატორია. ხოლო „იდეების შემოქმედი“ მას ჯერ კიდევ მაშინ შეარქვეს სიყვარულით, როდესაც 1972 წელს განიზრახა და აღასრულა კიდეც დიდებული საქმე: მისი იდეითა და ძალისხმევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსდა რედაქტორ-გამომცემელთა გაერთიანება სახელწოდებით „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“, რომელიც მიზნად ისახავდა იმ ხარვეზის შევსებას, რაც არსებობდა საქართველოში ანტიკური ხანის ძეგლთა ქართულ ენაზე თარგმანთან მიმართებით. ამ „ბიბლიოთეკამ“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციამდე (ანუ 2007 წლამდე) იარსება და მისი სერიით მრავალი დიდებული ძეგლის ქართული თარგმანი მიიღო ქართველმა მკითხველმა.

ყოველივე ეს კი შესაძლებელი გახდა ბატონი რისმაგის კიდევ ერთი იდეის განხორციელებით: 1996 წელს, მაშინ როდესაც ჩვენი ინსტიტუტი ჯერ არ არსებობდა, ამუშავდა საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“ (აქ მსურს საკუთარ დამსახურებაზეც მივანიშნო: როდესაც გამომცემლობის სახელწოდებას ვარჩევდით, „ლოგოსი“ მე ვახსენე, რაზეც ბატონმა რისმაგმა ჯერ გაიხარა, მაგრამ მალე დაღონდა და თქვა: „ვწუხვარ, მე როგორ არ გამახსენდა ესოდენ მნიშვნელოვანი ტერმინიო“).

ინსტიტუტში ბატონი რისმაგის რედაქტორობით გამოდის საერთაშორისო ჟურნალი სახელწოდებით "Phasis", სადაც თავიანთ სტატიებს აქვეყნებენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერები.

ასე რომ, ინსტიტუტის თანამშრომლებს ყოველნაირი პირობები გვაქვს შექმნილი მეცნიერული, პედაგოგიური და მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის. სწორედ ამიტომ შეარქვეს ჩვენს სამფლობელოს მომიჯნავე მეცნიერებათა კოლეგებმა, რომლებიც ხშირად გვსტუმრობენ, „ოაზისი“. დიახ, ასეთ განცდას მრავალი რამ იწვევს ჩვენს ინსტიტუტში, განსაკუთრებით კი სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა, რომელზეც ბატონი რისმაგი ხშირად აღნიშნავს ხოლმე, რომ ეს (ბიბლიოთეკა) მისი სიამაყეა. ბიბლიოთეკის თემატიკა მოიცავს როგორც კლასიკურ ფილოლოგიას, ბიზანტინისტიკასა და ნეოგრეცისტიკას, ისე სხვა ჰუმანიტარულ დარგებს. ბიბლიოთეკის ფონდების გამდიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვით როგორც კლასიკური ფილოლოგიის კათედრის დამფუძნებლებს, ასევე ინსტიტუტის პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ფონდებს, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და სამინისტროებს, ბატონი რისმაგის პირად, ქართველ თუ უცხოელ მეგობრებს.

* * *

ჩემს, და არა მარტო ჩემს, ძვირფას პედაგოგზე, უკვე მეგობარსა და კოლეგაზე სტატიის წერას ვასრულებ და ვგრძნობ, რომ კიდევ ბევრი რამ დამრჩა სათქმელი. არადა, რაც აღვნიშნე, ერთი ადამიანისათვის ისიც საოცრად ბევრია. ხოლო თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ყოველ სტუდენტს, მაგისტრანტსა თუ დოქტორანტს მხოლოდ მისი ხელმძღვანელობით სურს თავისი პირველი მეცნიერული ნაშრომის შექმნა, რაც სავსებით ბუნებრივია, უფრო მეტად გავოცდებით; თუმცა ის მადლიერება, რასაც მოძღვარი მათ თვალებში ამოიკითხავს ხოლმე, მას ახალი და ახალგაზრდული ძალისხმევით ავსებს.

ბატონი რისმაგი 70 წლისაა.ს თავისი მოღვაწეობის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ხნის მანძილზე მან მრავალი აღიარება დაიმსახურა: არის საქართველოსა და საქსონიის (გფრ) მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტი, საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი, ვინკელმანის საერთაშორისო საზოგადოების წევრი და Collegium Europaeum-ის წევრ-კორესპონდენტი.

ბატონი რისმაგი არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ "Phasis"-ის მთავარი რედაქტორი, ჟურნალ "Philologus"-ის სარედაქციო საბჭოსა და მრავალი სხვა ეროვნული სამეცნიერო ჟურნალისა თუ გამოცემის რედკოლეგიის წევრი.

მას სისტემატურად იწვევენ მოხსენებებითა და ლექციებით უცხოეთის ცნობილი უნივერსიტეტები და სამეცნიერო ცენტრები, რამეთუ ჰქონდა და აქვს ინტენსიური კონტაქტები სახელოვან მეცნიერებთან. მათ შორის არიან: ა. ლესკი, ფ. შახერმეიერი, ბ. სნელი, ა. ლოსევი, ი. ტრონსკი, ვ. იარხო, მ. პალოტინო, მ. ფონ ალბრეხტი, მ. ვესტი და სხვები.

წერილი საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისგან

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის წერილი, რომელიც ბატონმა რისმაგმა მიიღო საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისაგან: *„თქვენი მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობა ერთმანეთთან აკავშირებს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის, ძველი ისტორიისა და არქეოლოგიური კვლევის მიმართულებებს. როგორც ყველაზე უფრო პროფილებური, ყველაზე უფრო ინოვაციური სიძველეთმცოდნე ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თქვენ საოცრად ნაყოფიერად მოღვაწეობდით თქვენი სპეციალობის ფარგლებს გარეთაც. ყველაზე მნიშვნელოვან დამსახურებებს შორის, რომლებიც თქვენ ცხოვრების განმავლობაში მოიპოვეთ, არის თბილისის ქცევა სიძველეთმცოდნეობის სფეროში კვლევის ცენტრად, განსაკუთრებით ძველი და მედიტერანული ფილოლოგიისა და კულტურის ისტორიის სფეროში. როგორც ხელმძღვანელმა კლასიკური ფილოლოგიის ცენტრისა, თქვენ ხელი შეუწყვეთ მომიჯნავე დარგების — ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის განვითარებას. ამასთანავე ის ურთიერთობები, რაც თბილისის, იენის და საარბრუკენის სიძველეთმცოდნეთა შორის უკვე მრავალი ათეული წელია ჩამოყალიბდა, რაც ერთობლივ კვლევასა და პუბლიკაციებში, ერთობლივ კონფერენციებში, პროფესორთა და სტუდენტთა ურთიერთგაცვლაში გამოიხატა, მნიშვნელოვანწილად თქვენი ინიციატივის დამსახურებაა.*

თქვენი არაორდინალური დისციპლინათშორისი საკითხების დასმა და მათზე პასუხები აყალიბებს მრავალ პუბლიკაციას, როგორც ქართულ, ასევე უცხო, განსაკუთრებით გერმანულ ენებზე. თქვენი კოლეგები საქართველოსა და საზღვარგარეთ გაფასებენ თქვენ როგორც საქმეში ღრმად ჩახედულ, საინტერესო თანამოსაუბრეს მაღალი პიროვნული პასუხისმგებლობითა და შთამბეჭდავი მეცნიერული იმპეტუსით (აზარტით, გატაცებულობით). საქსონიის აკადემია ამაყია იმით, რომ 1997 წლიდან თქვენ მის წევრთა შორის შეგიძლიათ ირიცხებოდეთ“.

უვე-ფრიდრიხ ჰაუშტაინი
ლაიფციგი, 2005 წლის 9 ივნისი

„ეს სიტყვები ჩვენს განწყობას სრულად ასახავს"

ბატონო რისმაგ, თქვენი მრავალი ჩემი თანამოაზრე მოწაფის სახელით მსურს მოგმართოთ იმ სიტყვებით, გრიგოლ ნოსელმა რომ მიმართა თავის ძმას, ბასილი დიდს (წიგნიდან „გრიგოლ ნოსელი, შესაქმისათვის კაცისა“, თარგმნა გ. კოპლატაძემ), რამეთუ ეს სიტყვები ჩვენს განწყობას თქვენს მიმართ სრულად ასახავს, უკეთესად თქმა კი შეუძლებელია: „სათნოებით გამორჩეულნი ფასიანი ქაღალდებით რომ ჯილდოვდებოდნენ, როგორც სოლომონი ამბობს, ნივთთა მთელი სამყარო მცირე აღმოჩნდებოდა იმისთვის, რომ შენს სათნოებას შესწორებოდა, რადგან სამადლობელი ღირსი შენისა პატიოსნებისა საფასეთა ღირებულებას აღემატება“.

ნანა ტონია,
თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის პროფესორი

„ისტორიის ახალი შეფასებები“ იაპონიაში

იაპონიის ქალაქ სენდაში, ტოჰოკუს უნივერსიტეტში გამართული საერთაშორისო სიმპოზიუმის — „ისტორიის ახალი შეფასებები" — მნიშვნელობაზე ამ ღონისძიების მონაწილე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების სრული პროფესორი ვაჟა კიკნაძე იმ მოტივით ამახვილებს ყურადღებას, რომ სიმპოზიუმის მიზანი საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეფასებები და შეფასებათა მეთოდოლოგიის გადაფასება გახლდათ. ამ მხრივ, საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი წარმომადგენლის მოხსენებას თავისი დატვირთვა ჰქონდა.

ნინო კაკულია

კონფერენცია გამართა ტოჰოკუს უნივერსიტეტთან არსებულმა „ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის შესწავლის ცენტრმა“ (CNES). მასში მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის, შუა აზიის, მონღოლეთის, ე.წ. სოხას რესპუბლიკის (იაკუტია, რუსეთის ფედერაცია) წარმომადგენლებმა. საქართველოს, უკვე მეორედ, პროფესორი ვაჟა კიკნაძე წარმოადგენდა.

ისტორიის ახალი შეფასებები სიმპოზიუმზე ძირითადი საკითხი იყო და ყველა მომხსენებელმა, საკუთარი ქვეყნის მაგალითზე, სწორედ ამ აქცენტითა და კონკრეტული მასალით სცადა მისი დასაბუთება.

ქართველი მეცნიერის მოხსენება შეეხებოდა 1924 წლის აჯანყებას და მის შეფასებას საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში. მოხსენება ინგლისურიდან იაპონურ ენაზე სინქრონულად ითარგმნებოდა. მომხსენებელმა, მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ აღნიშნა, რომ საბჭოთა შაბლონებისგან გათავისუფლება ამ საკითხთან მიმართებაში მხოლოდ XX ს-ის 90-იანი წლებიდან დაიწყო, როცა რამდენიმე პუბლიცისტური ნაშრომი გამოქვეყნდა. ამავე დროს დაიწყო მანამდე დახურული უშიშროების არქივების შესწავლა და ამ საკითხთან დაკავშირებული მასალების პუბლიკაცია. საკითხის შესწავლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ნ. კირთაძის შრომები (ქუთაისი, 1996; თბილისი, 1999). შემდგომ პერიოდში ამ საკითხს იკვლევდნენ: გ. ციციშვილი, ალ. დაუშვილი, კ. წენგუაშვილი, დ. შველიძე და სხვები. ამ საკითხის შესახებ საინტერესო დოკუმენტები გამოაქვეყნეს: გ. გელაშვილმა (თბილისი, 2000) და ო. ჯანელიძემ (თბილისი, 1999).

სიმპოზიუმზე აღინიშნა, რომ, მიუხედავად ძირეული ცვლილებებისა, რაც საქართველოში ამ საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით განხორციელდა, რამდენიმე პრობლემა მაინც გადაუჭრელი დარჩა და ამიტომ 1924 წლის აჯანყება არ შეიძლება ჩაითვალოს შესწავლილად. ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე მისი შედარება სხვა მსგავს მოვლენასთან საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ არ მომხდარა. ამასთანავე, ამ მოვლენის შეფასებისას პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში თავი იჩინა არასწორმა და ხშირად ანტიეროვნულმა შეფასებებმა (მაგალითად, რომ აჯანყება თავიდან ბოლომდე საბჭოთა უშიშროების ორგანოების მიერ იყო ინსპირირებული; ან კიდევ, აჯანყების მეთაურები რადიკალები კი არ უნდა ყოფილიყვნენ, არამედ კომპრომისებზე ეფიქრათ (?!) და ა. შ.).

მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ამ საკითხების შემდგომი კვლევა, მოძველებული და მცდარი დებულებების გადაფასება, ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

სიმპოზიუმის შემაჯამებელ სხდომაზე იაპონურმა მხარემ დაისვა კითხვა: როგორია თითოეული პოსტსაბჭოთა ქვეყნის დამოკიდებულება რუსეთთან და რას ელიან ისინი მომავალში? კითხვის პასუხად პროფესორმა ვაჟა კიკნაძემ დაასაბუთა, რომ საქართველოს გამოცდილება, რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, თუმცა, ამავე დროს — სავალალო. „ჩვენი ქვეყნის მაგალითიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთი (მეფის, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა) არასდროს მიიჩნევს თავს ვალდებულად — დაიცვას ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულება და რომ ის თითოეულ ასეთ ხელშეკრულებას იყენებს, როგორც პლაცდარმს შემდეგში აგრესიის განსახორციელებლად“, — განაცხადა მან.

იაპონურმა მხარემ ეს შეფასება უკომენტაროდ მიიღო. სანინააღმდეგო მოსაზრება არავის გამოუთქვამს.

საერთაშორისო შეხვედრის ორგანიზატორთა განცხადებით, სიმპოზიუმი წარმატებული იყო და ტოჰოკუს უნივერსიტეტთან არსებული ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის შესწავლის ცენტრი კვლავაც განაგრძობს მიწვეულ კოლეგებთან თანამშრომლობას. მათ ყველა ხარჯი, მათ შორის: თბილისიდან სენდაიმდე მგზავრობისა და ერთი კვირით იაპონიაში ყოფნისა, თავად აანაზღაურეს. ამასთან, ენერგია და დრო არ დაიშურეს, რომ სტუმრებისთვის ქალაქ სენდაის მახლობელი საკურორტო ზონის — მაცუშიმას ყურისა და იაპონიის დედაქალაქ ტოკიოს დათვალიერების შესაძლებლობა მიეცათ.

პროფესორი ვაჟა კიკნაძე მიიჩნევს, რომ ამგვარი ღონისძიებების შედეგად კავშირები საქართველოსა და იაპონიას შორის მომავალში კიდევ უფრო მჭიდრო და ინტენსიური გახდება. „ამის საფუძველს თბილისში გახსნილი იაპონიის საელჩო და მისი თანამშრომლების დიდი ძალისხმევაც იძლევა“, — განაცხადა ვაჟა კიკნაძემ.

თარგმანით „გაშიფრული“ გალაკტიონი

„მთარგმნელი ემსახურება არა მხოლოდ თავის ერს, არამედ იმ ერსაც, რომლის ენიდანაც თარგმნის ნაწარმოებს“ — წერდა გოეთე. გალაკტიონს, რომელიც სიცოცხლეშივე აღიარეს საქართველოს პოეტების მეფედ, სამწუხაროდ, მსოფლიო არ იცნობდა. ამის გამო პოეტი არც ფარავდა გულისტკივილს. საბედნიეროდ, მითი იმის შესახებ, რომ გალაკტიონის პოეზიის თარგმნა, მისი სირთულის გამო, შეუძლებელია, წარსულს ჩაბარდა.

„ჩვენ მოვალენი ვართ, გალაკტიონის შემოქმედება გავაცნოთ მსოფლიოს, რომლისთვისაც იგი აქამდე უცნობი იყო“, — განაცხადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანთმცოდნეობის მიმართულების პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა გალაკტიონის გარდაცვალებიდან 51 წლისთავისადმი მიძღვნილ საჯარო ლექციაზე: „ლექსი და მისი თარგმანი — გალაკტიონი“.

შურთხია გეროშვილი

საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი, ნაპოლეონის საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილი წევრი, ბრიტანეთის საზოგადოების საპატიო წევრი, ქალბატონი ინესა მერაბიშვილი მიიჩნევს, რომ გაზრდილი საერთაშორისო ურთიერთობების პირობებში ფასდაუდებელ ღირებულებას იძენს კულტურათა გაცვლა, რაც თარგმანის გზით უნდა განხორციელდეს.

მეცნიერმა, რომელიც შეეცადა ამოეხსნა გალაკტიონის ენიგმები, შეძლო პოეტის დღემდე გაუშიფრავად მიჩნეული ზოგიერთი პოეტური სტრიქონის დეკოდირება. ამიტომ გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ მის პოეტურ თარგმანებში შენარჩუნებულია, პირველ რიგში, აზრი, მელოდია და, რაც მთავარია, ის არტისტიზმი, რაც ასე დამახასიათებელია გალაკტიონის შემოქმედებისთვის. ამიტომაც არის, რომ სპეციალისტები ქალბატონი ინესა მერაბიშვილის თარგმანებს მაღალ შეფასებას აძლევენ.

ინესა მერაბიშვილმა საჯარო ლექციაზე დამსწრე საზოგადოებას თავისი თარგმანები წარმოუდგინა და ვრცლად ისაუბრა იმ პროცესებზე, რომელიც წინ უძღოდა გალაკტიონის პოეზიის შეცნობას და თარგმნის პროცესს. მეცნიერის აზრით, „ქართული კულტურა, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღების ქვეშ ექცევა, ყველაზე ნაკლებად მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის წარმოჩენითაა ცნობილი. ამისთვის კი საჭიროა მაღალპროფესიული და მაღალნიჭიერი თარგმანის გზით გავაცნოთ მსოფლიოს ეროვნული ღირებულებები“.

აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თარგმანთმცოდნეობის განვითარებას. მაგისტრატურის კურსს, რომელსაც „თარგმანის ხელოვნება“ ჰქვია, ინესა მერაბიშვილი ხელმძღვანელობს. მისი წიგნები: „თარგმანი — კულტურათა დიალოგი“ და „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“, მაგისტრანტების თქმით, სწავლების პროცესში კარგი გზამკვლევია.

ინესა მერაბიშვილი თვლის, რომ პოეტური თარგმანი არის არა მხოლოდ არტისტული შესრულება, არამედ ორ სამყაროს შორის შემდგარ კულტურულ დიალოგზე აგებული ღრმა ფილოლოგიური კვლევა.

გარდა იმისა, რომ ინესა მერაბიშვილმა თავისი საქმიანობით ერებს შორის კულტურული დიალოგი ახალ ფაზაში შეიყვანა, შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონის დიდი ხნის ოცნებაც განახორციელა.

როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ განაცხადა, თარგმანთმცოდნეობის მიმართულება გააგრძელებს საჯარო ლექციების ციკლს, რომელსაც შემდგომში წაიკითხავენ პროფესორები: დალი ფანჯიკიძე, თინათინ მარგალიტაძე, ელგუჯა ხინთიბიძე და თარგმანთმცოდნეობის მიმართულების მაგისტრანტებიც, აგრეთვე ბრიტანელი სტუმრები: მაიკლ ბერმანი და ქეროლინ ჩემბერლენი.

ახალი თარგმანები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორის ლეილა კაკაბაძის თარგმანები — ფრანგი დრამატურგის ჟან ბატისტ მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“ და XX საუკუნის ცნობილი ფრანგი მწერლის, დრამატიული პიესების ავტორის ჟან ანუის – „თომას ბეკეტი ანუ ღმერთის დიდება“.

ნინო კაკულია

მოლიერის პიესა ეძღვნება VII საუკუნისდროინდელი საზოგადოების წარმომადგენელ გაყოყოჩებულ ადამიანებს, რომლებიც აზნაურის წოდების მიღებისთვის ყველა ხერხსა და საშუალებას მიმართავენ. მთავარი გმირია მდაბიო, რომელიც ფულით ყიდულობს სახელს, რათა საზოგადოებაში აზნაურად წარმოჩნდეს. „მაღალი კომედიის“ ჟანრის ფუძემდებლის ჟან ბატისტ მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“ 1924 წელს რუსთაველის სახელობის თეატრში დაიდგა. დღეს კი ამ ნაწარმოების დადგმის ინიციატივით გამოდის თარგმანის ავტორი, ქალბატონი ლეილა კაკაბაძე, რომელსაც მიაჩნია, რომ სკოლებსა და უნივერსიტეტებში შესაძლებელია ამ პიესის ინსცენირება. თარგმანის ავტორმა წიგნს შენიშვნის სახით დაურთო კიდეც მინაწერი „კომიკური პიესა ყმაწვილებისათვის“. პიესა თანამედროვე ყოფისთვის დამახასიათებელ ფრაგმენტებს მოიცავს და იმდროინდელ და დღევანდელ საზოგადოებას შორის, ფასეულობების წარმოჩენის თვალსაზრისით, პარალელების გავლების საშუალებასაც იძლევა. ლეილა კაკაბაძე პიესის დადგმის შეთავაზებას ყოფილი მუსკომედიის თეატრისთვისაც გეგმავს.

რაც შეეხება ჟან ანუის ნაწარმოების – „თომას ბეკეტი ანუ ღმერთის დიდება“ თარგმანს, მის მნიშვნელობას ხაზს უსვამს წმინდანად აღიარებული, ინგლისელებისთვის ღირსშესანიშნავი პიროვნების თომას ბეკეტის ტრაგიკული ისტორიის ფილოსოფიური შეფასებანი. მასში არის მსჯელობა ყველა ცხოვრებისეულ მოვლენასა თუ სფეროზე. თომას ბეკეტს კლავენ თავისივე ეკლესიაში — ეს გახლავთ ტრაგედიის ის კულმინაცია, რაც ამ პიროვნების ღვაწლის უკეთ შესაცნობად განაწყობს მკითხველს. თარგმანის ავტორმა ლეილა კაკაბაძემ ამ პიესის დადგმა რუსთაველის თეატრის მთავარ რეჟისორს რობერტ სტურუას შესთავაზა, თუმცა თვლის, რომ თომას ბეკეტის ცხოვრებისეული დეტალების უკეთ წარმოსაჩენად ფილმის გადაღება უფრო უპრიანი იქნება.

საერთაშორისო საზაფხულო ეკონომიკური სკოლა კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტებისთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2010 წლის 15 მაისს შედგა საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია თემაზე: ,,გლობალიზაცია და საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები". მასში მონაწილეობა მიიღო 30-მა წარჩინებულმა სტუდენტმა, რომელთაგან ჟიურის ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურეს დავით ნიკოლაიშვილმა, ანა მარდალეიშვილმა, ნინო პატარიძემ, რუსუდან გონგლაძემ და ერეკლე პირველმა.

კონფერენციაში მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. ხოლო, ჟიურის მიერ შერჩეული 5 გამარჯვებული გაემგზავრება უკრაინაში საერთაშორისო საზაფხულო ეკონომიკურ სკოლაში, სადაც 2010 წლის 1-7 ივლისს გაიმართება მსოფლიოს 15 ქვეყნის სტუდენტთა შეკრება. მათ დონეცკსა და სვიატიგორსკში მეცადინეობები ჩაუტარდებათ საერთაშორისო ეკონომიკის ძირითად საკითხებში. საზაფხულო სკოლის მსმენელთა ცხოვრების და კვების ხარჯებს მთლიანად უზრუნველყოფს მასპინძელი მხარე, ხოლო კონფერენციაში გამარჯვებული 3 საუკეთესო სტუდენტის მგზავრობის ხარჯებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაფარავს.

უჩა გოგიშვილი,
ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი

ნორჩ გეოგრაფთა ვიქტორინაში გამარჯვებული

უკვე რამდენიმე წელია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში ნორჩ გეოგრაფთა სკოლა ფუნქციონირებს. თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეები თსუ-ში სპეციალურად მათთვის გამართულ ლექციებზე აქტიურად დადიან და ცოდნას იღრმავებენ. სწორედ, ნორჩ გეოგრაფთა სკოლის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, უკვე მეორედ, თსუ-ში ნორჩ გეოგრაფთა ვიქტორინა გაიმართა. მასში თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეების გარდა რეგიონებიდან ჩამოსული ბავშვებიც მონაწილეობდნენ.

ნატო ოგოლაძე

ვიქტორინა ორ ნაწილად ჩატარდა. პირველ ნაკადში VI-IX კლასის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. ერთმანეთს 10 გუნდი დაუპირისპირდა. მეორე ნაკადში კი X-XI კლასელებისგან დაკომპლექტებული 17 გუნდი მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ ვიქტორინის ორივე ნაწილში გამარჯვება ჭიათურის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მოიპოვეს. ჭიათურის 1 საჯარო სკოლის გუნდმა „საშევარდნომ“ VI—XIX კლასელებს შორის დაიკავა პირველი ადგილი, უფროს კლასელთა ნაკადში კი ჭიათურის სოფელ ზოდის საჯარო სკოლის გუნდმა „პანაგეამ“ გაიმარჯვა.

„ამ ვიქტორინისათვის სპეციალურად მოვემზადეთ და მუშაობაც დაგვიფასდა. ძალიან გვიხარია, რომ იმედი გაგვიმართლდა

და გავიმარჯვეთ. ვფიქრობ, რომ ასეთი სახის ვიქტორინები გეოგრაფიის ცოდნის გაღრმავებას შეუწყობს ხელს“, — გვითხრა გუნდ „საშევარდნოს“ კაპიტანმა, მეცხრე კლასის მოსწავლემ რუსუდან ზამბახიძემ.

ნორჩ გეოგრაფთა ვიქტორინაში გამარჯვებულ მოსწავლეებს ორგანიზატორებმა სხვადასხვა სახის საჩუქრები გადასცეს: საბავშვო ენციკლოპედიები, მაისურები თსუ-ის ლოგოს გამოსახულებით, ჩანთები და ნორჩ გეოგრაფთა სკოლაში ჩატარებული ყველა ლექციის ვიდეო ვერსია. მონაწილეებმა სპეციალური სერტიფიკატი მიიღეს. გამარჯვებულებმა კი საკუთარი მოხსენებები წარადგინეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი სტუდენტების კონფერენციაზე. კომისიის წევრების განსხვავებით, მოსწავლეების ნაშრომები, სტუდენტების მიერ წარმოდგენილ ნამუშევრებზე არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა.

„ჩვენი მიზანი, რომ მოსწავლეებში გეოგრაფიის მიმართ ინტერესი გაგვეზარდა, მიღწეულია. მოსწავლეები დიდი ინტერესით მოეკიდნენ ვიქტორინის გამართვის იდეას და მონდომებით ჩაერთვნენ. მათ საჩუქრების გარდა, მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადავეცით. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ჭიათურის პირველი საჯარო სკოლის გუნდი „საშევარდნო“, რომელიც ძალიან სწრაფად გვცემდა კითხვებზე სწორ პასუხებს, რითაც ჟიური აღფრთოვანებული დარჩა. ერთ-ერთმა მასწავლებელმა ისიც განაცხადა, რომ ინტელექტუალურ თამაშებში თითქმის ყოველთვის მოწინავე ადგილებს რეგიონებიდან ჩამოსული ბავშვები იკავებენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შესასწავლი ფაქტია, რადგან შესაძლოა მათ სკოლებში მასწავლებლებს აქვთ სწავლების ისეთი მეთოდი, რომელსაც თბილისის სკოლების პედაგოგები არ იყენებენ“, — განაცხადა ნორჩ გეოგრაფთა სკოლის ხელმძღვანელმა, თსუ-ის პროფესორმა დალი ნიკოლაიშვილმა.

ნორჩ გეოგრაფთა ვიქტორინაში გამარჯვებული მოსწავლეები ორგანიზატორებმა ზაფხულში დაგეგმილ სასწავლო ექსპედიციაში მიიწვიეს. რომელიც ჯერ მარტყოფში, შემდეგ კი სვანეთში მოეწყობა.

.

ეთნიკურ-სეპარატისტული ტერორიზმის საფრთხე

22 მაისს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტის გიორგი გორაშვილის წიგნის — „ეთნიკურ-სეპარატისტული ტერორიზმის განვითარების საფრთხე საქართველოში და მისი პროფილაქტიკის გზები“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის საგრანტო პროგრამის ფარგლებში გამოიცა. იგი საქართველოში ტერორიზმის ერთ-ერთი გამოვლინების – ეთნიკური სეპარატიზმის მონოგრაფიულ კვლევას წარმოადგენს.

ნატო ოგოლაძე

ნაშრომი სამი ნაწილისაგან შედგება — პირველ მონაკვეთში განხილულია ტერორიზმი ადრეული ხანიდან თანამედროვე დრომდე; მეორე ნაწილში მოთხრობილია ტერორიზმის შესახებ სოციალურ კონფლიქტთა სპექტრში; ხოლო წიგნის დასკვნით ნაწილში საუბარია საქართველოს ტეროგენური საფრთხეებისა და მისი თავიდან აცილების პერსპექტივების შესახებ.

გიორგი გორაშვილის წიგნი საქართველოში ეთნიკური სეპარატიზმის მონოგრაფიული კვლევის პირველი ცდაა. ავტორი აღნიშნულ თემაზე მუშაობას ახლაც აგრძელებს.

„მიხარია, რომ ქართული ეროვნული ფონდები ხელს უწყობენ ახალგაზრდა მეცნიერებს. ბევრ ნიჭიერ ადამიანს მიეცა შესაძლებლობა — იმუშაოს და იფიქროს ქვეყნისთვის აუცილებელ პრობლემატიკაზე. იმედი მაქვს, რომ ქართველი მეცნიერებისთვის სახელმწიფო ხელშეწყობის ტალღა არ შეჩერდება და კიდევ უფრო მეტ ახალგაზრდას შეეძლება იფიქროს, იმუშაოს და წეროს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე,“ — აღნიშნა გიორგი გორაშვილმა.

წიგნს „ეთნიკურ-სეპარატისტული ტერორიზმის განვითარების საფრთხე საქართველოში და მისი პროფილაქტიკის გზები“ რედაქტირება პროფესორმა გოჩა მამულაშვილმა გაუწია. მან პრეზენტაციაზე აღნიშნა, რომ აუცილებელია, ამ თემის შესახებ ჟურნალისტებისა და სოციოლოგების გარდა იურისტებმაც წერონ.

„ტერორიზმს უამრავი სახის გამოვლინება აქვს. ეთნიკურ-სეპარატისტული ტერორიზმის განვითარების საფრთხე ჩვენთვის ყველაზე აქტუალურია. მხედველობაში მაქვს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ეროვნული თვითგამორკვევის უფლება არ ნიშნავს ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფისთვის დამოუკიდებელი, ავტონომიური რესპუბლიკის შექმნას. საჭიროა მათ ზუსტად იცოდნენ — თუ სად გადის ზღვარი ტერორიზმსა და ეროვნულგამათავისუფლებელ მოძრაობას შორის. საქართველოს ისტორიაში შესატანია ცვლილებები, მაგალითად, ცხინვალის რეგიონს მოვიხსენიებთ სამხრეთ ოსეთად, სინამდვილეში კი ოსების სამშობლო ჩრდილო კავკასიაშია და არა სამხრეთში. გიორგი გორაშვილი თავის ნაშრომში, სწორედ, აღნიშნულ პრობლემებზე მოგვითხრობს“, — გვითხრა პროფესორმა გოჩა მამულაშვილმა.

წიგნი „ეთნიკურ-სეპარატისტული ტერორიზმის განვითარების საფრთხე საქართველოში და მისი პროფილაქტიკის გზები“ გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა. დაინტერესებულ მკითხველს მისი მოძიება და წაკითხვა თსუ-ის ბიბლიოთეკებში შეუძლია.

სტუდენტთა საკვირაო ლიტერატურული კლუბი გეპატიჟებათ

შესაძლოა, ბევრი სტუდენტისთვის ჯერ კიდევ უცნობია, რომ ყოველ კვირას, როდესაც ყველა აუდიტორია დაკეტილია, თსუ-ის V კორპუსში, ნიკო ყიასაშვილის სახელობის აუდიტორიაში „საკვირაო ლიტერატურული კლუბის“ წევრები იკრიბებიან და მათთვის საინტერესო თემებზე საუბრობენ.

შურთხია გეროშვილი

სტუდენტთა საკვირაო ლიტერატურული კლუბის დაარსების იდეა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის დოქტორანტებს: ლაშა ჩახვაძეს და დათო მაზიაშვილს ეკუთვნით. მათი ინფორმაციით, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ახლად შექმნილი ლიტერატურული კლუბი ევროპის და ამერიკის კლუბების მოდელის ქართული ვარიანტია, რაც თავისთავად სიახლეა ჩვენს სინამდვილეში. „აღსანიშნავია, რომ ჩვენი საკვირაო საუბრები მხოლოდ ლიტერატურით არ შემოიფარგლება — დისკუსიის თემად შესაძლოა სტუდენტებმა აირჩიონ სოციალური თემები, მეცნიერება, მხატვრობა, მუსიკა, თეატრი... შერჩეულ თემატიკას წინასწარ ამუშავებს რომელიმე სტუდენტი, ან სტუდენტთა ჯგუფი, რომლებიც ამზადებენ მოხსენებას და ზრუნავენ აუდიოვიდეო და ვიზუალური მასალის მოპოვებაზე“, — ამბობს ლაშა ჩახვაძე.

დათო მაზიაშვილის ინფორმაციით, სტუდენტთა საკვირაო ლიტერატურულმა კლუბმა უკვე რამდენიმე საინტერესო ღონისძიება გამართა, მათ შორის: რეზო ინანიშვილის მოთხრობების საჯარო კითხვა და განხილვა, გენდერულ თემატიკაზე გამართული ღონისძიება, სადაც სტუდენტებმა ნახეს რეჟისორების: კეტრინ ბარეტის და ბრუნო ბოზეტოს ფილმები: „გენდერი“ და „გენდერული განსხვავებები“. ამავე შეხვედრაზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა მარიამ ნოზაძემ წაიკითხა მოხსენება: „ქალი მედეადან მისის დოლოვეიმდე“, რის შემდეგაც საკმაოდ საინტერესო დისკუსია გაიმართა. გენდერულ პრობლემებს ეხებოდა, ასევე, სალომე დავითულიანის მოხსენება — „ქორწინების ფსიქოლოგიური და ქრისტიანული ასპექტები“.

სტუდენტებისთვის საინტერესო აღმოჩნდა მითოსის თემატიკა, კერძოდ, სვანური მითოლოგია — ამ თემისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სტუმრის სტატუსით იყო მოწვეული ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელი დავით ცინცაძე, რომელმაც სტუდენტებს სვანური ტრადიციების ამსახველი უნიკალური კადრები აჩვენა.

ერთ-ერთ შეხვედრაზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა სალომე დავითულიანმა სტუდენტებს სადისკუსიოდ საინტერესო თემატიკა შესთავაზა: „ქორწინების ფსიქოლოგიური და ქრისტიანული ასპექტები“, რომელიც ფსიქოლოგიურ და რელიგიურ ჭრილში განიხილა. საკვირაო ლიტერატურული კლუბის წევრები სიამოვნებით იხსენებენ რენესანსის ეპოქისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, სადაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა თიკო ბუბუტეიშვილმა მოხსენებასთან ერთად სლაიდ-შოუც აჩვენა დამსწრე საზოგადოებას. ასევე, საინტერესოდ წარიმართა დისკუსია თემაზე: „რელიგია და თანამედროვეობა“, მოხსენება წარმოადგინა ამავე ფაკულტეტის სტუდენტმა მარიამ აგლაძემ. შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი იყო კლუბის წევრებისათვის მუხრან მაჭავარიანის პოეზიის საღამოც.

„ჩვენი მთავარი პრინციპია აზროვნების თავისუფლება. კლუბში მოსულ ადამიანს საშუალება აქვს გამოთქვას თავისი მოსაზრება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, ან მოგვაწოდოს იდეა. ყველას შეუძლია, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, თვითონვე მოამზადოს მოხსენება და წარუდგინოს საზოგადოებას. ჩვენი კლუბი ღიაა შემოქმედი ახალგაზრდებისთვისაც. ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოაწყოს თავისი ლიტერატურული ნაწარმოების, ნახატების პრეზენტაცია. ჩვენი მთავარი მიზანია, სტუდენტებმა ლექციებით დატვირთული დღეების შემდეგ შინაარსიანად გაატარონ დრო“, — აღნიშნავენ კლუბის დამფუძნებლები. ისინი იმ გამორჩეულ სტუდენტებსაც ასახელებენ, ვინც აქტიურად არის ჩართული კლუბის მუშაობაში: თინათინ ბუბუტეიშვილს, სალომე დავითულიანს, ნათია ბერუჩაშვილს, თიკა ოქიტაშვილს, ნინო კიკაჩეიშვილს, ნანა მახათაძეს, სოფო თაყაძეს, ნინო მუსალბიშვილს, მარიამ აგლაძეს და მარიამ ნოზაძეს. სტუდენტთა საკვირაო ლიტერატურული კლუბის დაარსებაში ხელშეწყობისთვის კი მადლობას უხდიან ფაკულტეტის ხელმძღვანელობას და ინგლისური ფილოლოგის პროფესორს მანანა გელაშვილს.

კლუბის დამფუძნებლები, სამომავლოდ, სტუდენტებს კიდევ მრავალ საინტერესო ღონისძიებას ჰპირდებიან.

ასე რომ, ვისაც სურს, თავისუფალი დრო ლამაზად და შინაარსიანად გაატაროს, იცოდეს, V კორპუსის ნიკო ყიასაშვილის სახელობის აუდიტორია ამ კვირასაც არ იკეტება.

მსოფლიო თამბაქოს გარეშე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „მსოფლიო დღე თამბაქოს გარეშე“ აღინიშნა. მეორე კორპუსის ფოიეში სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი პიქტოგრამები გამოიფინა. სიტყვით გამოვიდნენ მოწვეული სტუმრები, დარიგდა ბუკლეტები და ფლაერები. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, საქართველოს განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების, პარლამენტის წარმომადგენლები დაესწრნენ. თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ მსგავსი პრევენციული ღონისძიებების სასწავლო დაწესებულებებში ჩატარების აუცილებლობაზე ისაუბრა და თამბაქოს კონტროლის ალიანსს მომავალში ერთობლივი ღონისძიებების გამართვა შესთავაზა. განათლების მინისტრის მოადგილის ირინე ქურდაძის განცხადებით: „თამბაქოს საწინააღმდეგო ღონისძიებების მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე რეგულაციები საკმარისი არ არის. საჭიროა მსგავსი ღონისძიებების ფართოდ ჩატარება, განსაკუთრებით საჯარო სკოლებში".

ნინო კალანდია

2010 წელს თამბაქოს საწინააღმდეგო საერთაშორისო დღის თემა არის გენდერი და თამბაქო. ონკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელის რეზო გაგუას ინფორმაციით, თუ აქამდე ათ მწეველ მამაკაცზე ერთი მწეველი ქალი მოდიოდა, დღეს მწეველ ქალთა რაოდენობა გაუთანაბრდა მწეველ მამაკაცთა რაოდენობას. ხოლო ონკოდაავადებებს შორის სიკვდილიანობის მხრივ პირველ ადგილზე ფილტვის კიბოა. XX საუკუნეში თამბაქოს წევით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 მილიონი ადამიანი იყო. თუ ტენდენცია ასე გაგრძელდა, XXI საუკუნეში სიკვდილიანობის დონე 1 მილიარდ ადამიანს მიაღწევს. პარლამენტის ვიცე სპიკერმა გიგი წერეთელმა ახალგაზრდებს თამბაქოსგან დროულად თავის დანებებისკენ მოუწოდა.

ღონისძიებაზე თამბაქოსაგან თავისუფალი რამოდენიმე სკოლა დაჯილდოვდა. საპატიო სიგელები გადაეცათ იტალიური სკოლის „ცისკრის“, სკოლა „სარკმლის“, 136-ე, 158-ე, 64-ე და 26-ე საჯარო სკოლების წარმომადგენლებს.

ქალთა შორის თამბაქოს ეპიდემიის კონტროლი თამბაქოს კონტროლის სტრატეგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. ჯანმოს რეკომენდაციით, აუცილებელია თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის წევრ, დაახლოებით 170 სახელმწიფოში სრულად აიკრძალოს თამბაქოს ნაწარმის ნებისმიერი სახის რეკლამა, პრომოცია და სპონსორობა. ქალები თამბაქოს ინდუსტრიისთვის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენენ. ისინი შეადგენენ მსოფლიოს 1 მილიარდი მწეველის დაახლოებით 20%. სწორედ ამიტომ თამბაქოს ინდუსტრიის ბოლოდროინდელი მარკეტინგული სტრატეგია გათვლილია ქალებზე. ისინი მიზნად ისახავენ ახალი მომხმარებლების ჩათრევას, რომლებმაც უნდა ჩაანაცვლონ ნაადრევად გარდაცვლილი ძველი მწეველები. განსაკუთრებით საგანგაშოა მწეველების ზრდა ახალგაზრდა გოგონებში. ჯანმოს ახალ კვლევაში აღნიშნულია, რომ თამბაქოს რეკლამების სამიზნეს სწორედ გოგონები წარმოადგენს. ჯანმოს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენცია აღიარებს, რომ აუცილებელია გენდერული ასპექტების გათვალისწინება თამბაქოს კონტროლის სტრატეგიის შემუშავებისას.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) თამბაქოს საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე 1987 წელს დააწესა, რათა ამით მსოფლიო საზოგადოების ყურადღება თამბაქოს ეპიდემიისთვის მიექცია. მსოფლიო დღე მიზნად ისახავს მოსახლეობის ინფორმირებას თამბაქოს მოხმარების რისკებისა და თამბაქოს კომპანიების საზიანო ქმედებების შესახებ, ასევე, იმ ღონისძიებების შესახებ, რასაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია თამბაქოს ეპიდემიის დასაძლევად ატარებს.

2010 წლის თამბაქოს საწინააღმდეგო საერთაშორისო დღეს და მომდევნო წლის განმავლობაში ჯანმო სათანადო რეკომენდაციებს მისცემს ქვეყნებს, რომ მათ აქტიური ღონისძიებები გაატარონ თამბაქოს ეპიდემიის კონტროლის მიმართულებით. თამბაქოს მოხმარებამ მიმდინარე საუკუნის განმავლობაში შესაძლოა 1 მილიარდი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლოს. ამიტომ, აუცილებელია გადამჭრელი ზომების მიღება თამბაქოს კონტროლის მიმართულებით.

„მსოფლიო დღე თამბაქოს გარეშე“ მთავარი დევიზით აღინიშნა — კონტროლის ალიანსი და სტუდენტობა მოუწოდებს მთავრობას აკრძალოს თამბაქოს ნაწარმის ყველა სახის რეკლამა, პრომოცია და სპონსორობა.

„დათუნია დრუნჩას კლინიკა“ თსუ-ში

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საბავშვო სახლების აღსაზრდელები სტუმრობდნენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 34 პატარას ჯერ საბავშვო ცენტრ „მადაგასკარში“ უმასპინძლა, შემდეგ კი პირველი კორპუსის ეზოში დროებით გახსნილ „დათუნია დრუნჩას ჰოსპიტალში“.

ნატო ოგოლაძე

ევროპის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა ასოციაციის წევრი ორგანიზაცია - „ემსა თსუ"-ის ორგანიზებით, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა „დათუნია დრუნჩას ჰოსპიტალში“ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოიკვლიეს. პატარების გასინჯვის ეს მეთოდი, რომელსაც „დათუნია დრუნჩას ჰოსპიტალი“ გულისხმობს, მსოფლიოში აპრობირებულია, რასაც ბევრი ქვეყნის მედიკოსები იყენებენ. ამ პროექტის საშუალებით სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ფსიქოლოგიურად ამზადებენ „თეთრი ხალათის“ შიშის დასაძლევად.

„ბავშვს რომ არ შეეშინდეს, ექიმი მას თამაშ-თამაშით სინჯავს, ანუ ჯერ ბავშვი სინჯავს დათუნიას და შემდეგ ექიმი — ბავშვს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პირველად მიიღო მსგავს პროექტში მონაწილეობა. მასში ჩართულები არიან თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის და სტომატოლოგიის მიმართულების სხვადასხვა კურსის სტუდენტები. სამედიცინო გამოკვლევის პარალელურად, სტუდენტების ინიციატივით, ბავშვები ერთმანეთს ხატვაში შეეჯიბრნენ. პატარებს სიურპრიზიც მოვუწყვეთ და მათ გასართობად ორი „ბაჭია“ მოვიწვიეთ“, — გვითხრა საქართველოს ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარემ, თსუ-ის პროფესორმა გია ლობჟანიძემ.

1 ივნისს თსუ-ს 5 საბავშვო სახლის 34 აღსაზრდელი სტუმრობდა. ესენია – წყნეთის, დუშეთის, დიღმის, აფრიკის დასახლების და ავლაბრის ბავშვთა სახლები. სამედიცინო გამოკვლევა ყველა მათგანს ჩაუტარდა. პროექტში 5-დან 9 წლის ასაკის ბავშვებმა მიიღეს მონაწილეობა.

„დღევანდელი დღე გამორჩეულია — ყველა ქვეყანაში ბავშვებისთვის მიძღვნილი სხვადასხვა სახის ღონისძიებები ტარდება. სასიხარულო ფაქტია, რომ ჩვენც ჩავერთეთ „დათუნია დრუნჩას ჰოსპიტალის“ პროექტში და ბავშვებს სასიამოვნო დღე ვაჩუქეთ. ამ გზით პატარები „თეთრი ხალათის“ შიშს დაძლევენ და მოგვარდება ექიმთან გაუცხოების პრობლემაც. ბავშვების გასინჯვისას რაიმე საყურადღებო სიმპტომის გამოვლენის შემთხვევაში მათ შემდგომ მკურნალობასაც უზრუნველვყოფდით. რაც მთავარია, ამ სახის ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება“, — აღნიშნა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა ალექსანდრე ცისკარიძემ.

გასართობი პროგრამა ცენტრ „მადაგასკარში“, საჩუქრები, „დათუნია დრუნჩას კლინიკა“, ხატვა და „ბაჭიებთან“ თამაში მზრუნველობამოკლებულ პატარებს ძალიან მოეწონათ. მათ თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუაც შეხვდა.

„მადაგასკარში“ ვიყავით, ვითამაშეთ, საჩუქრებიც დაგვირიგეს, შემდეგ ვხატეთ და ექიმმაც გამსინჯა... სახალისო იყო, მომეწონა ექიმის პროფესია,“ – გვითხრა 7 წლის ჟენკა ანანოვმა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე 1949 წელს დაწესდა. მისი მიზანია ბავშვების დასაცავად მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზება, ზრუნვა მათ ჯანმრთელობასა და აღზრდა-განვითარებაზე.

პატარა ქვეყნების თავისებურებანი

1 ივნისს თსუ-ის მცირე საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის ხელმძღვანელის, თსუ-ის პროფესორ ალექსანდრე რონდელის საჯარო ლექცია თემაზე — „პატარა ქვეყნების შესწავლის შესახებ“, რომელსაც პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

ბატონმა ალექსანდრემ საუბარი პატარა ქვეყნების შესწავლის ისტორიით დაიწყო, თუ როგორ ხედავდნენ ძველი კლასიკოსი ფილოსოფოსები პატარა ქვეყნების მოწყობის საკითხებს. პატარა ქვეყნები, ამ კვლევების მიხედვით, ძირითადად ზნეობრივ ჭრილში განიხილებოდნენ დემოკრატიასთან მიმართებაში.

თამარ მარუაშვილი

„პატარა ქვეყნების სერიოზული კვლევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება და ასევე ფართოვდება ამ ქვეყნების შემსწავლელ მკვლევართა წრეც. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ნორვეგიელი, დანიელი, შვედი, ჰოლანდიელი მეცნიერების საინტერესო ნაშრომები.

მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც კვლევების დროს გამოიყო, გახლავთ: პატარა ქვეყნის გადარჩენა, მათი არსებობა და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

პატარა ქვეყნების როლი შესწავლილია, მაგრამ არა სრულყოფილად. 60-იანი წლებიდან გამოიკვეთა ის გამოწვევები და პრობლემები, რომელიც პატარა ქვეყნებს ახასიათებთ. ესენია: დეფინიცია; სამხედრო პოლიტიკა; სპეციფიკური შესაძლებლობები: როლი და ფუნქციები...

ზოგიერთი ქვეყანა ახერხებს ისეთი ძალის პრორექციის გამოყენებას, რომ პოტენციური აგრესორი ფიქრობს, რომ მას ხელი არ მოჰკიდოს და საკითხი აგრესიის გარეშე გადაჭრას. ჩვენი ქვეყანა ცდილობს ამას მიაღწიოს, მაგრამ ძალიან უჭირს. პატარა ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების თავისებურებების შესწავლა სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე ხდება.

ასევე საინტერესო საკითხია: საგარეო პოლიტიკა და დიპლომატიური თავისებურებანი. გამოკვლევები ამ მიმართულებებით მნიშვნელოვანია, რადგან პატარა ქვეყნის შესაძლებლობები არის ის სფერო, რომელიც ბევრ მკვლევარს იზიდავს. ასევე საინტერესო საკითხია პატარა ქვეყნების ეკონომიკური განვითარება შეზღუდული რესურსების და შესაძლებლობების პირობებში. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა, რომ გლობალიზაციის პროცესი ზიანს მიაყენებდა პატარა ქვეყნებს, მაგრამ პირიქით მოხდა, ამ ქვეყნების მდგომარეობა გაუმჯობესდა.

საერთოდ, პატარა ქვეყნების კომპლექსურ გამოკვლევას ნაკლებად შეხვდებით. ჩვენ გვყავს ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც საინტერესოდ მუშაობენ ამ მიმართულებით. იმედია, მალე გავხდებით სერიოზული ცენტრი, სადაც პატარა ქვეყნების კვლევა ფართოდ გაიშლება. რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ქართულ სამეცნიერო პოტენციალს და ამ ექსპერტების დახმარებითა და სწორი კვლევების საფუძველზე

მოხდება მთელი რიგი საქვეყნო საკითხების მიზანმიმართულად გადაჭრა. დღეისთვის მკვლევარებისთვის ყველაზე პოპულარური თემებია: პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა; დიპლომატიის თავისებურებანი; პატარა ქვეყანა და კავშირები (განსაკუთრებით ასიმეტრიული კავშირები); პატარა ქვეყნის როლი და ფუნქცია; ნეიტრალიტეტი; ბუფერი, არშემდგარი სახელმწიფოები. მკვლევარები საფუძვლიანად სწავლობენ დემოკრატიულ პროცესებს პატარა ქვეყნებში და მათ ადგილს ევროპულ ინტეგრაციაში.

საერთოდ, პატარა ქვეყნების შესწავლაში არ არის დიდი ინტრიგა, მაგრამ ჩვენთვის ეს ყოველთვის მნიშვნელოვანია, რაც პატარა ქვეყნების შესახებ იწერება. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ყოველი მაგალითიდან, ყოველი წიგნიდან, რადგან სხვა გამოსავალი არა გვაქვს და ამ საკითხებს ინტერესით უნდა შევხედოთ“, — განაცხადა ალექსანდრე რონდელმა.

მან ასევე ისაუბრა საერთაშორისო ურთიერთობებში მომხდარ ცვლილებებსა და რეალობაზე, დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობის პერსპექტივებზე, რუსეთისადმი დასავლეთის მხრიდან დათმობების სავარაუდო ზღვარზე, თბილისსა და მოსკოვს შორის დიალოგის ყოველგვარი პირობების გარეშე დაწყების ავკარგიანობა-მიზანშეწონილობაზე, საქართველო-ირანის ურთიერთობაზე.

„ვითარება საერთაშორისო ასპარეზზე, რა თქმა უნდა, იცვლება. აგვისტოს ომმა საერთაშორისო ურთიერთობებში ცვლილება შეიტანა. ბევრი რამ სააშკარაოზე გამოვიდა. დასავლეთში მიხვდნენ, რომ რუსეთმა საქართველოში კბილები, პირველ რიგში, დასავლეთს აჩვენა. მიუხედავად ამისა, დასავლეთი ცდილობს რუსეთი არ გარიყოს და მასზე გარკვეული გავლენა იქონიოს", — აღნიშნა ბატონმა ალექსანდრემ. მან აგრეთვე ხაზი გაუსვა პატარა ქვეყნების სოლიდარობის აუცილებლობას, მორალურ მხარდაჭერას, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მაინც ერის ერთიანობა და შეკრულობა დაასახელა.

საქართველოს ეთნოლოგია

მკითხველის ბიბლიოთეკას ორი ახალი წიგნი შეემატა: „თეორიული ეთნოლოგია“ როლანდ თოფჩიშვილის, ქეთევან ხუციშვილისა და როზეტა გუჯეჯიანის თანაავტორობით და „საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია“ — როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, რომელთა პრეზენტაცია თსუ-ში 7 მაისს გაიმართა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მეცნიერები, სტუდენტები და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო ნაწილი.

„საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია“ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) დახმარებით მომზადდა, აღნიშნული პროექტის დაფინანსება კი ეროვნულ სამეცნიერო ფონდში დაიწყო.

თამარ მარუაშვილი

„სამწუხაროდ, ქართულ ეთნოლოგიაში შემაჯამებელი, განმაზოგადებელი ნაშრომები არ იქმნებოდა, არადა მეცნიერთა ჯგუფს ეს ხელეწიფებოდა. ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ეთნიკურ ტრადიციებს ახალ დროში სასწრაფოდ ნოვაციები ცვლიდა. მოსასწრები იყო ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და თაობიდან თაობაზე გადმოცემული კულტურის ყველა ელემენტის ფიქსაცია, მათი მეცნიერული ანალიზი და განზოგადება.

დღეს, ეთნოლოგიური მეცნიერების მნიშვნელობა იმიტომაც იზრდება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მოდერნიზაციისა და გლობალიზაციის გარდუვალობას დაემთხვა. დასავლეთის მიერ შემოთავაზებული ტრადიციული საზოგადოებების მოდერნიზაცია ჩვენ ქვეყანასაც ეხება. რამდენადაც ეთნიკური კულტურის ცოდნა ქართული ეთნიკური ცნობიერებისა და მენტალობის შენარჩუნების უცილობელი რამაა, ამდენად, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების ცოდნა ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაა. ამის გამო საქართველოს ეთნოლოგია არა მარტო უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ საჯარო სკოლებშიც კი უნდა ისწავლებოდეს. ამით მხოლოდ ქართველთა წინა თაობების შექმნილ ეთნიკურ კულტურას კი არ მივაგებთ პატივს ან თეორიულ ცოდნას ვიმაღლებთ, არამედ ქართული ეროვნული ცნობიერების სიმტკიცესაც სათანადო ბალავარი ჩაეყრება“, — ვკითხულობთ წიგნის შესავალში.

„საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია“ დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოადგებათ სტუდენტებსაც, განსაკუთრებით მათ, ვისაც აღნიშნული საკითხები უფრო ვრცლად აინტერესებთ.

„მახსოვს ჩემი სტუდენტობის დროს როგორ გვიჭირდა სახელმძღვანელოების მოძიება ამ საკითხებზე, ძირითადად რუსული სახელმძღვანელოებით ვსწავლობდით. ამიტომ უპირველეს მოვალეობად, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად, ასეთი სახელმძღვანელოების შექმნა დავისახე მიზნად. და აი, სახეზეა წიგნები, რომლებსაც არა მხოლოდ სტუდენტები გამოიყენებენ. მიმაჩნია, რომ თეორიული ეთნოლოგიის სახელმძღვანელო ყველა სახელმწიფო მოღვაწემ უნდა წაიკითხოს, რადგან ძალიან ხშირად ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილი — სახელმწიფო მოღვაწეები და ხშირად პარლამენტარებიც შეცდომებს უშვებენ და არ იციან ეთნოლოგიური, ეთნიკური ტერმინების ხმარება. ამ სახელმძღვანელოში საუბარია ეთნიკურ კონფლიქტებსა და მისი გადაჭრის გზებზე. ეთნოლოგია იცვლის კვლევის ასპექტებს, ამიტომ ერთ-ერთი დიდი სფერო ეთნოლოგიური კვლევისა ეს არის ეთნოსები, ეთნიკური კულტურა და ეთნოსებს შორის ურთიერთობები. აღნიშნული წიგნების მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ჩემს კოლეგას: ქეთევან ხუციშვილს, როზეტა გუჯეჯიანს, თინათინ ღუდუშაურს, გიორგი გოცირიძეს, ხათუნა იოსელიანს და სხვებს. ვინც ამ წიგნს აიღებს ხელში, მიხვდება, რომ სერიოზულ გამოკვლევასთან გვაქვს საქმე, თუმცა არ ვამბობ, რომ იგი ყოვლისმომცველი და სრულყოფილია“, — განაცხადა ორივე წიგნის პროექტის შემდგენელმა და ძირითადმა ავტორმა როლანდ თოფჩიშვილმა.

წიგნების შინაარსობრივ და თემატიკურ მნიშვნელობაზე ისაუბრეს რეცენზენტებმა: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა ნუნუ მინდაძემ, ნოდარ შოშიტაშვილმა, პროფესორებმა შუქია აფრიდონიძემ, ჯუმბერ კოპალიანმა, საპატრიარქოს წარმომადგენელმა მამა ზურაბ ცხოვრებაძემ და სხვებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ გაკეთდა დიდი ეროვნული საქმე — ეს არის ფუძემდებლური ნაშრომი საქართველოს ეთნოგრაფია-ეთნოლოგიაში, სადაც ამომწურავად არის გადმოცემული ქართველთა ტრადიციული ყოფისა და კულტურული განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები.

თეორიული ეთნოლოგიის სახელმძღვანელო განკუთვნილია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. სახელმძღვანელო დახმარებას გაუწევს, აგრეთვე, ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ენათმეცნიერებს, პოლიტიკოსებს, პოლიტოლოგებს, საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტებს, კულტუროლოგებსა და მეცნიერების ყველა იმ დარგის წარმომადგენელს, რომლებსაც ეთნოლოგიასთან მჭიდრო კავშირი აქვთ.

„თეორიული ეთნოლოგიის“ სახელმძღვანელო 27 თემისაგან შედგება: ეთნოლოგიის საგანი და ფუნქციები, ეთნოლოგიური მეცნიერების წარმოქმნა და თავისებურებები, ეთნოლოგიური კვლევის მეთოდები, თეორიები, სკოლები, მიმართულებები, ეთნოგენეზი და ხალხთა ეთნიკური ისტორია, მსოფლიოს მოსახლეობის კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები, ეთნიკური ფსიქოლოგია: ეთნიკური თვითშეგნების, იდენტობის პრობლემა, ეთნიკური პროცესები თანამედროვე მსოფლიოში და სხვა საკითხები.

„საზგადოებას შეგნებული უნდა ჰქონდეს მეცნიერების ამ დარგის განვითარების მნიშვნელობა. ყველა ქართველისთვის მნიშვნელოვანია საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული თავისთავადობის, ეთნიკური კულტურის ელემენტების შენარჩუნება.

ორივე წიგნი დაწერილია ობიექტური მეცნიერული ანალიზით და დიდი პატრიოტული გრძნობით. ამ წიგნით უნდა დაინტერესდნენ პოლიტიკოსებიც, რადგან მასში თავმოყრილია ქართველთა ყოფის ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლის ცოდნაც ყველა პოლიტიკური მოღვაწისთვის აუცილებელია", — განაცხადა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ნოდარ შოშიტაშვილმა.

„ეთნოლოგია, როგორც ხალხებისა და ხალხთა მეცნიერებების შემსწავლელი მეცნიერება, თანამედროვე სამყაროსთვის დამახასიათებელი გლობალური და მოდერნისტული შესწავლისას განზე ვერ გადგება, პირიქით, ამ მეცნიერების გარეშე წარმოუდგენელია პროცესების სათანადოდ განჭვრეტა და ყველა-სათვის სასურველ ჩარჩოებში მოქცევა. თანამედროვე ეთნოსთაშორისი და კონფესიათაშორისი კრიზისებისა და კონფლიქტების მოგვარება წარმოუდგენელია იმ მეცნიერების გარეშე, რომელიც ხალხებს სწავლობს. ეთნოლოგიური მეცნიერების წარმატებები თანამედროვე კაცობრიობისთვის დამახასიათებელი გლობალური პრობლემების მოგვარებასაც შეუწყობს ხელს“, — ვკითხულობთ „თეორიული ეთნოლოგიის“ შესავალში, რითაც კიდევ ერთხელ ესმება ხაზი ამ წიგნების მნიშვნელობას თანამედროვე, პროგრესულად მოაზროვნე ქართული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

პრეზენტაციაზე დაისვა საკითხი, რომ ორივე წიგნი ითარგმნოს სხვა უცხო ენებზეც.

ჟურნალ „სპეკალის“ პრეზენტაცია

ნინო კალანდია

25 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა ელექტრონული ჟურნალის – „სპეკალის“ პრეზენტაცია გამართა. მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სამეცნიერო ჟურნალის პირველი ნომრის პრეზენტაციას მოწვეული სტუმრები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა დაესწრნენ.

ჟურნალის პირველმა ნომერმა ქართველოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობის, ენათმეცნიერების და თარგმანთმცოდნეობის თემებზე მიძღვნილი სტატიები მოიცვა. რეცენზირებადი ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი რუსთაველის ფონდის გრანტით დაფინანსდა. ორენოვანი ელექტრონული ჟურნალი წელიწადში ორჯერ გამოვა და გამოსაქვეყნებელ სტატიებს ქართველი და უცხოელი ექსპერტები შეაფასებენ.

„ელექტრონული ჟურნალის გამოცემის იდეა უკვე ორი წელია არსებობს, თუმცაღა იდეის ხორცშესხმა მხოლოდ რუსთაველის ფონდის გრანტის მოპოვების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ელექტრონულმა ვერსიამ მოგვცა საშუალება მკითხველის ფართო ფენაზე გავსულიყავით. მონიტორინგის მეშვეობით დადგინდა რომ თვენახევრის მანძილზე ჟურნალის პირველ ნომერს 1000–მდე მკითხველი გაეცნო. ეს ნიშნავს, რომ ჟურნალი წარმატებული აღმოჩნდა და დაინტერესება მსგავსი გამოცემის მიმართ დიდია", – აღნიშნა პრეზენტაციაზე ჟურნალის სამეცნიერო რედაქტორმა ნანა გაფრინდაშვილმა.

„სპეკალი“ ძველი ქართული სიტყვაა, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „ყოველი თვალი პატიოსანი“. მეტაფორულად სათაურში გამჟღავნებულია, რომ ჟურნალის მიზანია იქცეს ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგში საუკეთესო ნაშრომების კრებულად.

ჟურნალი „სპეკალი“ ჩაფიქრებულია, როგორც თანამედროვე სამეცნიერო ელექტრონული გამოცემა, რომელიც, ერთი მხრივ, პოპულარიზაციას გაუწევს ქართულ სამეცნიერო მიღწევებს ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგში და, მეორე მხრივ, გააცნობს ქართულ აკადემიურ წრეებს საზღვარგარეთული ჰუმანიტარული მეცნიერებების თანამედროვე დონეს, ხელს შეუწყობს ქართველოლოგიისა და სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებების, კერძოდ, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებას. ჟურნალი მოწოდებულია, შექმნას კონსტრუქციული შემოქმედებითი გარემო მასში წარმოდგენილი ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგების შემდგომი აღმავლობისათვის.

„იურიდიული მეთოდების მოძღვრება“

31 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანელი სამართლის მეცნიერის რაინჰოლდ ციპელიუსის წიგნის „იურიდიული სამართლის მოძღვრება" პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) პროგრამის ,,სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში" ფარგლებში ევროკავშირის ორგანიზებით განხორციელდა.

ნატო ოგოლაძე

პროფესორი რაინჰოლდ ციპელიუსი არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და წიგნის ავტორი გახლავთ. იგი მუშაობდა სამართლის ფილოსოფიის, სახელმწიფო მოძღვრების, კონსტიტუციონალიზმისა და იურიდიული მეთოდების საკითხების შესახებ. მეცნიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი — „იურიდიული მეთოდების მოძღვრება“ ქართულ ენაზე თარგმნა და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანა ბადენ-ვიურტემბერგის სამართლის სპეციალისტმა ლევან თოთლაძემ.

წიგნის პრეზენტაციას თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული, ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში, CTZ-ის რეგიონალური ბიუროს ხელმძღვანელი დოქტორი გაბრიელე ბიორინგერი და საქართველოს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში დაესწრნენ.

წიგნში „იურიდიული მეთოდების მოძღვრება“ ავტორი იკვლევს, თუ როგორ უნდა მოხდეს კანონის ინტერპრეტაცია, განვრცობა და განვითარება. ნაშრომი, ძირითადად, მოსამართლეებისთვის არის დაწერილი, თუმცა იგი მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყაროა ნებისმიერი იურისტისათვის.

„ამ წიგნის ქართულ ენაზე გამოცემა ორმაგად მნიშვნელოვანია: პირველი — შეივსო ის დიდი დეფიციტი, რომელიც ჩვენთან სამართლის მეთოდების თეორიაში არსებობს და მეორე — ქართულ ენაზე ითარგმნა კლასიკური გერმანული გამოცემა. მინდა მადლობა ვუთხრა მათ, ვინც ამ წიგნის თარგმნაზე იმუშავა და ორგანიზება გაუწია მის გამოშვებას, ამით მათ დიდი წვლილი შეიტანეს ქართული იურიდიული განათლების ევროპეიზაციის პროცესში,“ — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

როგორც პრეზენტაციაზე განაცხადეს, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულმა წიგნმა მოწონება დაიმსახუროს და გამოიყენონ საქართველოს პარლამენტში. წიგნს „იურიდიული მეთოდების მოძღვრება“ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მომზადებისთვისაც გამოიყენებენ. რაინჰოლდ ციპელიუსის ნაშრომის მნიშვნელობაზე საქართველოს სახალხო დამცველმაც ისაუბრა.

გერმანელი მეცნიერის ნაშრომი უკვე თარგმნილია ესპანურ და უკრაინულ ენებზე. მასში განხილულია სამართლის ფუნდამენტური ამოცანები, რომელიც უპირველესია პრობლემის სამართლიანი გადაჭრის გზების ძიებისას.



ლონდონში, მეცნიერების მუზეუმმა, ასწლოვან იუბილესთან დაკავშირებით, 10 ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გამოგონებისა და აღმოჩენის რეიტინგი შექმნა. საბოლოო გადაწყვეტილების უფლება კი დამთვალიერებლებს დაუტოვა, ვისაც, ხმის მიცემის წესით ეს ათეული საბოლოოდ უნდა გამოევლინა. დამთვალიერებლები ამ პროცესში აქტიურად ჩაერთნენ. თავადაც გამომგონებელმა თრევორ ბლეისამ, თანამედროვეობის ყველაზე დიდ მიღწევად, რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ნაცისტურ გერმანიაში შექმნილი ბალისტიკური რაკეტა მიიჩნია, რადგან მან კოსმოსის ათვისებას და თანამგზავრების გაჩენას ჩაუყარა საფუძველი. ამან კი კაცობრიობას საშუალება მისცა მობილური ტელეფონები და ის არაჩვეულებრივი საკომუნიკაციო სამსახურები შეექმნა, რასაც დღეს მთელი მსოფლიო იყენებს. ექიმმა ელის რობერტსმა უდიდეს სამეცნიერო რევოლუციად რენტგენის აპარატის შექმნა დაასახელა, რადგან ამ აპარატმა კაცობრიობას პირველად მისცა საშუალება ორგანიზმში გაკვეთის გარეშე ჩაეხედა, რაც მედიცინისთვის გიგანტური მიღწევაა. რეიტინგის სიაში, ასევე, მოხვდა სტივენსონის ორთქმავალი, ელექტრო ტელეგრაფი, პენიცილინი, დნმ-ს ორმაგი სპირალი და კოსმოსური ხომალდი „აპოლონ 10". მუზეუმის კურატორს ტომ ბუნს იმედი აქვს, რომ ეს სია საზოგადოებაში ფართო მსჯელობის საგანი გახდება. „ზოგიერთ პუნქტს, ალბათ, ურთიერთსაწინააღმდეგო გამოხმაურება მოჰყვება, თუ შედეგებს გავითვალისწინებთ, იქნებ ჯობდა კიდეც რამდენიმე აღმოჩენა საერთოდ არ გაკეთებულიყო", — განაცხადა მან.

იტალიურმა გაზეთმა La Repubblika გამოაქვეყნა პოლემიკური სტატია — თუ როგორ შეიძლება გარდაქმნას ევოლუციამ მომავლის ადამიანები. ევოლუცია გაწირავს ესთეტიკას და არა ეკოლოგიას, — წერს გაზეთი. ამ თემაზე მრავალი სამეცნიერო ჰიპოთეზა არსებობს. მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მომავლის ადამიანებს არც თმა ექნება და არც წვერ-ულვაში, რასაც მტკნარი წყლის მძაფრი უკმარისობა წარმოშობს. სამაგიეროდ, ექნებათ ძალიან გრძელი და წვრილი თითები, რათა კომპიუტერის, მობილური ტელეფონის და მომავლის სხვა ტექნიკის კლავიშებს იოლად დააჭირონ. ფილოსოფოსი ფრანჩესკო კავალი სფორცა დარწმუნებულია, რომ ელექტრონული და საინფორმაციო პროგრესი ადამიანის ნერვულ სისტემას აუცილებლად გარდაქმნის. „კულტურამ წინ გაუსწრო ჩვენს ბიოლოგიას, დღევანდელ ბავშვებს უკვე აქვთ ის თვისებები, რაც წინა თაობებისთვის მიუღწეველი იყო", — განაცხადა მან. პედიატრ ჯუზეპე საჯეზეს კი მიაჩნია, რომ ტექნიკური პროგრესი, ერთის მხრივ, ცხოვრებას გაუმჯობესებს, მეორეს მხრივ, ჭარბი წონისა და დეპრესიის მასობრივ პრობლემას წარმოშობს.



საუკუნეების მანძილზე სუსტი სქესის წარმომადგენლებად ქალები ითვლებოდნენ. ისრაელელი მეცნიერების ბოლო გამოკვლევების თანახმად, სუსტი სქესის, თურმე, მამაკაცები ყოფილან. პროფესორმა მარეკ გლეიზერმანმა 10 წლის მანძილზე 66000 ახალშობილი შეისწავლა და დაადგინა, რომ მუცლად ყოფნის პერიოდში გართულებების რისკი ბიჭებს უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე გოგონებს, თანაც ბიჭების გაჩენა ყოველთვის უფრო რთულია. „მამაკაცების უსიამოვნებები" ამით არ მთავრდება. ზრდასრულ მამაკაცებსაც კი ვირუსებითა და ინფექციებით დაავადების რისკი უფრო მაღალი, წინააღმდეგობის უნარი კი გაცილებით დაბალი აქვთ, ვიდრე ქალებს. „ცნობილია, რომ მამაკაცებს სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო მოკლე, ავადმყოფობის დაძლევის უნარი უფრო დაბალი, ინფექციისადმი მგრძნობელობა კი უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე ქალებს. ასე რომ, სუსტი სქესი სწორედ მამაკაცები არიან", - განაცხადა პროფესორმა.

დიდი ბრიტანეთის „ველური ბუნების" პარკში სპილომ ტუჩის გარმონზე დაკვრა ისწავლა. პარკის დირექციის განცხადებით, 17 წლის აფრიკულმა სპილომ, რომელსაც ფაივს ეძახიან, ვიღაცის მიერ შემთხვევით დატოვებულ ტუჩის გარმონს ხორთუმი დასტაცა და ჩაბერვა დაიწყო. რამდენიმე კვირაა სპილო გარმონს წუთითაც არ იშორებდა და მელოდიებიც ააწყო. თავისი ენთუზიაზმი ფაივმა მეორე სპილოს, 16 წლის ლატაბესაც გადასდო. პარკის საიტზე გამოქვეყნებულია ვიდეო რგოლი, სადაც ორი სპილო მელოდიას დუეტში ასრულებს. მეცნიერთა აზრით, ეს პირველი შემთხვევაა, როცა სპილოებმა დაკვრა დამოუკიდებლად, მწვრთნელის გარეშე ისწავლეს. თუმცა, გასაკვირი აღარაფერია მას შემდეგ, რაც ორი წლის წინ, ატლანტის ზოოპარკში ორმა ორანგუტანგმა პანელზე ტუჩებისა და თითების მეშვეობით კომპიუტერული თამაშები აითვისეს.

თავისუფალი პროგრამული მოხმარების მხარდამჭერმა საზოგადოება FSF-მა გამართა აქცია "WINDOWS 7-ის შვიდი ცოდვა".

ეს შვიდი ცოდვა ასე გამოიყურება:

1. განათლების პროცესის „მოწამვლა" – მონოპოლიის წყალობით ადამიანები სკოლის მერხიდანვე მხოლოდ ერთი კომპანიის პროდუქტის ხმარებას სწავლობენ.
2. პირად ცხოვრებაში შეჭრა – აყენებს უტილიტას, რომელიც მომხმარებელთან შეუთანხმებლად ამოწმებს აქვს თუ არა მას ლიცენზია.
3. მონოპოლიზმი – ახალ კომპიუტერთა უმეტესობა უკვე დაინსტალირებული ვინდოუსით იყიდება.
4. იძულებითი განახლება – წყვეტს ძველი პროგრამების მომსახურებას, სისტემურ მოდიფიკაციებს კი უმეტეს შემთხვევაში უფრო მაღალი სისტემური მოთხოვნები აქვს. რაც მუშა კომპიუტერების გამოცვლის აუცილებლობას წარმოშობს.
5. ვიდეოსა და აუდიოს ციფრული დაცვა – თანამშრომლობს მსხვილ მედია კომპანიებთან და ხელოვნურად ართულებს მათ კონტენტზე უფასოდ მოხვედრის საშუალებას.
6. იძულებით თავს მოხვეული დოკუმენტების საკუთარი სტანდარტი, რაც სრულიად არ შეესაბამება ბაზარზე საყოველთაოდ აღიარებულ ფორმატებს.
7. დაცვის სუსტი სისტემა.

როგორც ჩანს, მალე კაცობრიობას ენების შესწავლის აუცილებლობა აღარ ექნება. იაპონურმა კორპორაციამ NES–მა უნიკალური მოწყობილობა შექმნა. ეს არის სათვალე, რომელიც უცხო ენაზე წარმოთქმულ სიტყვებს თარგმნის და ტექსტს პირდაპირ თვალის წინ გიდებს. ამგვარად, სათვალის მფლობელს ნებისმიერ ადამიანთან უამრავ ენაზე შეუძლია საუბარი. თანაც სათვალე თვალებს არ ღლის და მისი გამოყენება კითხვის დროსაც შეიძლება. კორპორაციის განცხადებით, ეს უნიკალური სათვალე ბაზარზე უკვე მიმდინარე წელს გამოჩნდება.

ამერიკულმა ინდუსტრიამ ელექტრონული წიგნებისა და ვიდეოების მოყვარულებს ახალი პროდუქტი შესთავაზა, რომელსაც სახელად vook უწოდა. ეს არის ელექტრონული წიგნისა და ვიდეო რგოლების (სიტყვებიდან book და video) თავისებური ჰიბრიდი. კომპანიის საიტზე ოთხი ასეთი „წიგნი" - მოთხრობა, დეტექტივი, ფიტნესის სახელმძღვანელო და კოსმეტოლოგის რჩევები – უკვე გაჩნდა. ტექსტის გვერდით შეგიძლიათ ჩართოთ ვიდეო რგოლი და რასაც კითხულობთ თვალნათლივ დაინახოთ. განსაკუთრებით საინტერესო ეს დეტექტივების მოყვარულებისთვის აღმოჩნდა, რადგან თავად შეუძლიათ დანაშაულის ადგილი დაათვალიერონ და შესაბამისი დასკვნებიც გააკეთონ. პროდუქტის შემქმნელებმა იმედი გამოთქვეს, რომ ახალი ფორმატი თანამედროვე ახალგაზრდობას კითხვის სურვილს გაუღვიძებს.

ლონდონის ცენტრში ბრიტანელი მოქანდაკის ენტონი გორმლის გრანდიოზული პროექტი განხორციელდა. სამი თვის მანძილზე ნებისმიერ მსურველს, რა თქმა უნდა, წინასწარი ჩაწერით, შეეძლო ტაფალგარის მოედანზე მდგარ ცარიელ კვარცხლბეკზე ამძვრალიყო და ნებისმიერ სამოსში გამოწყობილს, ნებისმიერი პოზა მიეღო, რაც სურდა გაეკეთებინა ან საერთოდ არაფერი გაეკეთებინა. პროექტმა საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. მოქანდაკის აზრით კი ეს 2400 „ცოცხალი ძეგლი" „თანამედროვე ბრიტანეთის პორტრეტი" გახდა.

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი	სალომე მახარაძე
კომპიუტ. უზრუნველყოფა	თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
22 36 62

მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ